პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 36-ე წელი | № 189 (10275) | ხუთშაბათი, 11 აგვისტო, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

# სახელმწიფო გეგმა კანონია თვითეული სამინისტროსათვის, მთავარი სამმართველოსათვის, საწარმოსათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა დასახა მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ვრცელი პროგრამა. პლენუმმა დიდი ყურადღება მიაქცია იმას, რომ სახელმწიფო გეგმას უთუოდ ასრულებდეს თვითეული სამინისტრო, მთავარი სამმართველო, საწარმო.

სოციალისტური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის წინაშე სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარებაა. საბჭოთა სახელმწიფოს ხელში გეგმა მილიონობით ადამიანის შრომის მაორგანიზებელი და წარმმართველი მძლავრი ძალაა. სახელმწიფო დაგეგმვა საბჭოთა ქვეყანას საშუალებას აძლევს განახორციელოს მძიმე ინდუსტრიის — სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძვლის პირველ რიგში განვითარება, უზრუნველყოფს წარმოების განუწყვეტელ, სწრაფ და ყოველმხრივ ზრდას, შესაძლებლობას აძლევს სულ უფრო სრულად დააკმაყოფილოს ხალხის მოთხოვნილება.

გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკის წარმატებანი უდავოა. მთლიანად მრეწველობა და მეტი წილი საწარმოები გეგმიან დავალებებს წლითიწლობით არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც ასრულებენ. საბჭოთა ხალხმა ვადამდე — ოთხ წელიწადსა და ოთხ თვეში — შეასრულა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის მეხუთე ხუთწლიანი გეგმა.

მაგრამ ყოველივე ეს არ შეიძლება უდარდელობისა და თვითდამშვიდების საფუძველი გახდეს. ჩვენ მიერ მოპოვებული წარმატებანი შეიძლებოდა უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო, ყველა საწარმო, მრეწველობის ყველა დარგი წესიერად რომ ასრულებდეს გეგმიან დავალებებს. ჩვენი სოციალისტური ეკონომიკისათვის ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ცნობილია, რომ ყველა საბჭოთა საწარმო მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, დამოკიდებულია ერთიმეორეზე. მეურნეობის ერთ უბანზე გეგმიან დავალებათა შეუსრულებლობა უარყოფით გავლენას ახდენს მეორე უბნის მუშაობაზე, ზიანს აყენებს მთელ სახალხო მეურნეობას.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი ქარხანა, ფაბრიკა და მრეწველობის ცალკეული დარგებიც კი ვერ ასრულებენ სახელმწიფო გეგმას, მნიშვნელოვანი რაოდენობით აკლებენ პროდუქციას სახალხო მეურნეობას. იმ საწარმოთა ხვედრითმა წონამ, რომლებიც წლიურ გეგმებს ვერ ასრულებენ, შეადგინა: 1951 წელს 31 პროცენტი, 1952 წელს 39 პროცენტი, 1953 წელს 40 პროცენტი, ხოლო 1954 წელს 36 პროცენტი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განსაკუთრებით აღნიშნა შეუწყნარებელი მდგომარეობა სატყეო და თევზის მრეწველობაში, რომელიც სისტემატურად ვერ ასრულებს სახელმწიფო დავალებებს, რითაც დიდ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას.

ყველა ქარხანასა და ფაბრიკაში, შახტსა და სარეწში როდია გაჩაღებული შეუპოვარი და მიზანდასახული ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა მნიშვნელოვანი დანაკლისით შეასრულა სატყეო, ჩარხმშენებელმა და საინსტრუმენტო მრეწველობამ.

ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მანკიერი პრაქტიკა, როცა საწარმოები და მთელი დარგებიც კი, თუმცა საერთო გამოხატულებით ასრულებენ გეგმებს, მაგრამ თავს ვერ ართმევენ დავალებებს ნაწარმის ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით, უშვებენ დაბალი ხარისხის პროდუქციას. შავმა მეტალურგიამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საერთოდ გადაჭარბებით შეასრულა გეგმა, მაგრამ მთლიანად ვერ შეასრულა ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი სახეობის ნაგლინის გამოშვების დავალება. მაშასადამე, ცალკეულმა საწარმოებმა და მშენებლობებმა მთლიანად ვერ მიიღეს მათთვის გამოყოფილი ლითონი, ამან კი უარყოფითი გავლენა მოახდინა მათ მუშაობაზე. ქვანახშირის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა მურა ნახშირის ამოღების ნახევარი წლის დავალება, მაგრამ თავი ვერ გაართვა ქვანახშირის ამოღების პროგრამას. მძიმე მანქანათმშენებლობამ მთლიანად ვერ შეასრულა გლინვის მოწყობილობის წარმოების ექვსი თვის გეგმა და ამით შეაფერხა შავ მეტალურგიაში სიმძლავრეთა ზრდა. სავსებით ცხადია, რომ ასეთი პრაქტიკა შეუწყნარებელია.

სახელმწიფო გეგმა კანონია თვითეული სამინისტროსათვის, მთავარი სამმართველოსათვის, საწარმოსათვის. ხოლო ზოგიერთი სამეურნეო მუშაკი საკმარის ღონისძიებებს არ იღებს იმისათვის, რომ გეგმიანი დავალებანი უთუოდ სრულდებოდეს, და ამით უხეშად არღვევს სახელმწიფო დისციპლინას. მარტო უპასუხისმგებლო ხელმძღვანელებს, მარტო ისეთ ადამიანებს, რომლებიც უგულებელყოფენ სახელმწიფოს ინტერესებს, შეუძლიათ შეურიგდნენ მათთვის მინდობილ საწარმოთა ჩამორჩენას, არ იჩენდეს ზრუნვას, გეგმის უთუოდ შესრულებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მოჰყავდათ იმის მაგალითები, რომ საწარმოებში ნელა ინერგება ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია. მაკეევკისა და ნოვოტაგილის მეტალურგიულ ქარხნებში უკვე რამდენიმე წელია ძევს მოწყობილობა ჟანგბადის დანადგართათვის, რომლებითაც შეიძლება მნიშვნელოვნად გავადიდოთ ფოლადის გამოდნობა იმავე მარტენის ღუმლებით. ახალი ტექნიკისადმი კონსერვატიულ დამოკიდებულებას სხვა საწარმოებშიც ვხვდებით. მინსკის საინსტრუმენტო ქარხნის ხელმძღვანელები შეურიგდნენ იმას, რომ საჭრისთა სამქროში უმოქმედოდ არის ნაკადური კონვეიერული ხაზი, რომელიც სამი წლის წინათ დაიდგა. კიევის ქარხნის „ლენინსკაია კუზნიცას“ სამსხმელო და სამჭედლო სამქროებში თვეობით და წლობითაც კი ძევს უმოძრაოდ ახალი მოწყობილობა, რომელიც საჭიროა საწარმოო პროცესების სრულყოფისათვის.

ცუდად იყენებენ ტექნიკას, ნელა ნერგავენ ციკლურობის გრაფიკით ქვანახშირის ამოღების ტექნოლოგიას ვოროშილოვგრადის ოლქის შახტებში. ამით მნიშვნელოვანწილად აიხსნება ის ფაქტი, რომ აქ ნახევარი წლის პროგრამა ცხრა ტრესტიდან მხოლოდ ოთხმა შეასრულა. სახელმწიფო გეგმიან დავალებებს ვერ ასრულებს აზერბაიჯანის ნავთობსარეწთა ბევრი სამმართველო. ლიტვის სსრ თევზის მრეწველობამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში თევზის ჭერის გეგმიანი დავალების მხოლოდ მესამედი შეასრულა.

მთელი რიგი საწარმოებისა და მრეწველობის დარგების მუშაობის შეცდომები მეტწილად იმითაც აიხსნება, რომ ბევრმა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანომ შეასუსტა ყურადღება წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესების საკითხებისადმი. იმის გამო, რომ საშუალო მაჩვენებლები დამაკმაყოფილებელია, ხშირად ვერ ხედავენ ჩამორჩენილ საწარმოებს, არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს, რათა მოწინავეთა დონემდე აიყვანონ ისინი, ლიბერალურად ეპყრობიან სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევთ, არ ცდილობენ, რომ ფართოდ გავრცელდეს მოწინავე კოლექტივებისა და წარმოების ნოვატორების გამოცდილება.

ამ უკანასკნელ ხანს პარტიული აქტივის კრებებსა და პარტიული კომიტეტების პლენუმებზე, რომლებიც განიხილავდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, კომუნისტები ააშკარავებენ საწარმოებისადმი ხელმძღვანელობის ბევრ ნაკლს, მწვავედ აკრიტიკებენ იმათ, ვისი მიზეზითაც გამოწვეულია ეს ნაკლოვანებანი, შეაქვთ კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია რაც შეიძლება მალე განხორციელდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მითითებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ჩვენი სამშობლოს მშრომელთა შორის. ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება გეგმიანი დავალებების ვადამდე შესრულებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალი XX ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ მასების პატრიოტულ აღმავლობას. საჭიროა რაც შეიძლება მალე დავძლიოთ მრეწველობის მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც პლენუმმა გამოავლინა. ჩვენს ქვეყანაში არ უნდა იყოს არც ერთი ჩამორჩენილი ქარხანა და სარეწი, არც ერთი ჩამორჩენილი შახტი, მშენებლობა და ფაბრიკა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: „დაევალოს რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, მინისტრებს, უწყებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს უზრუნველყონ, რომ თვითეული საწარმო უთუოდ ასრულებდეს პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმას დაწესებული ნომენკლატურისა და ასორტიმენტის დარგში, ახალი ტექნიკის დანერგვისა და ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის დარგში. გადაჭრით აღმოფხვრან ლიბერალური დამოკიდებულება სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევებისადმი, არ მოერიდონ იმას, რომ თანამდებობიდან მოხსნან მუშაკები, რომლებსაც არ შესწევთ წარმოების მართვის უნარი, და შეცვალონ ისინი საქმის მცოდნე და ენერგიული ორგანიზატორებით“.

საჭიროა საბჭოთა ადამიანებისათვის ჩვეული მთელი სიმტკიცითა და ენერგიით ვიბრძოლოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მითითებათა შესრულებისათვის და ამით უზრუნველვყოთ სოციალისტური მრეწველობის ახალი, მძლავრი აღმავლობა.

„პრავდის“ 10/VIII მოწინავე.

# ჩვენს დიად სამშობლოში

## რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავის გამო

ლენინგრადი, 9 აგვისტო. (საკდესი). 50 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გამოვიდა ვ. ი. ლენინის წიგნი „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“. გუშინ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის ბიბლიოთეკაში გაიმართა ლექცია, მიძღვნილი დიდი ბელადის ამ ნაშრომისადმი. ლექტორმა ტ. ა. ნიკიფოროვამ დამსწრეთ უამბო, თუ რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებს.

ლენინგრადში ფართოდ აღინიშნება რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავი. ბევრ საწარმოში, დაწესებულებაში, სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ორგანიზაციებში შედგა ღია პარტიული კრებები და თეორიული კონფერენციები, მიძღვნილი ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი. ბაღებში, კულტურისა და დასვენების პარკებში გაიხსნა გამოფენები „რუსეთის 1905-1907 წლების პირველი რევოლუციის 50 წლისთავი“. მნახველები ეცნობიან იმ წლების უმთავრეს მოვლენებს. გამოფენაზე ექსპონირებულია სურათები და ფოტოები, რომლებიც გამოხატავენ დემონსტრაციის დახვრეტას სასახლის ქუჩაზე, გამოფენილია აგრეთვე რსდმპ პეტერბურგის, ურალის, ოდესისა და სხვა კომიტეტების მრავალი ფურცელი, რომლებიც შეიარაღებული ბრძოლისაკენ მოუწოდებენ მუშებს. ბოლო სტენდები მიძღვნილია რუსეთის პირველი რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობისადმი.

ს. მ. კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში ივლისსა და აგვისტოში გაიმართა ლექციები და შეხვედრები რუსეთის პირველი რევოლუციის მონაწილეებთან. თემატური საღამოები — „ლენინგრადი სამი რევოლუციის ქალაქია“, „ლენინგრადის მშრომელთა სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები“, „რუსეთის პირველი რევოლუცია მხატვრულ ლიტერატურაში“ და სხვები გაიმართა ბაბუშკინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, იზმაილოვის ბაღში, პუშკინისა და პეტროდვორეცის პარკებში.

ამ დღეებში ათასობით მშრომელი აწყობს ექსკურსიებს რუსეთის პირველი რევოლუციის სამახსოვრო ადგილებში.

## „ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგები“

**ბროშურა, რომელშიც მოთავსებულია ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენება და საბოლოო სიტყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე 1955 წლის 4 და 5 აგვისტოს**

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ბროშურა, რომელშიც მოთავსებულია ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენება „ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგები“ და საბოლოო სიტყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე 1955 წლის 4 და 5 აგვისტოს.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

## ხერსონის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა

**ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სახელმწიფოს 17,9 მილიონი ფუთი პური**

ხერსონის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებებს მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ, გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების (გარდა სიმინდისა) სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებს ჩაბარდა 40,1 მილიონი ფუთი მარცვალი, მათ შორის ძირითადი სასურსათო კულტურა — ხორბალი ჩაბარდა 22,5 მილიონი ფუთი. ოლქის კოლმეურნეობებში უზრუნველყოფილია კოლმეურნეთა შრომადღის ნატურალური და ფულადი ანაზღაურების მნიშვნელოვანი გადიდება.

ხერსონის ოლქის მშრომელებმა, გამოიანგარიშეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 17,9 მილიონი ფუთი პური. ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს სულ ჩააბარებენ 58 მილიონ ფუთ პურს, ანუ 7,9 მილიონი ფუთით მეტს, ვიდრე ჩააბარეს პური სახელმწიფოს ყველაზე უხვმოსავლიან 1952 წელს.

მიმდინარე წელს ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა თითქმის ერთისამად გაადიდეს სიმინდის ნათესების ფართობი, რაც მთლიანად უზრუნველყოფს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობას წვნიანი და კონცენტრირებული საკვებით. ახლა ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დაიწყეს რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სიმინდის ცალცალკე აღება და დასილოსება, მუშაობენ უხეში საკვების დაგროვებისათვის, რათა უზრუნველყონ მისი წელიწადნახევრის — ორი წლის მარაგი.

ზრუნავენ რა მომავალი წლის მოსავლისათვის, ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მთლიანად შეინახეს საშემოდგომო და საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესლი და ამზადებენ ნიადაგს საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვისათვის.

ოლქის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ყოველ ღონეს ხმარობენ მომავალ წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის უზრუნველყოფისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისა და კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის.

## სტალინოს ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა

**ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სახელმწიფოს 11 მილიონი 170 ათასი ფუთი პური**

სტალინოს ოლქის კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა სამრეწველო საწარმოთა მშრომელების აქტიური დახმარებით, აღფრთოვანებულებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ, ფართოდ გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების (გარდა სიმინდისა) სახელმწიფო გეგმა. პურის ჩაბარება გრძელდება. სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებს ჩაბარდა 21 მილიონი ფუთი მარცვალი, მათ შორის ძირითადი სასურსათო კულტურა — ხორბალი ჩაბარებულია 15 მილიონი ფუთი. ოლქის კოლმეურნეობებში უზრუნველყოფილია კოლმეურნეთა შრომადღის ნატურალური და ფულადი ანაზღაურების მნიშვნელოვნად გადიდება.

სტალინოს ოლქის მშრომელებმა, გამოიანგარიშეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სახელმწიფოს 11 მილიონი 170 ათასი ფუთი პური. სულ ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს ჩააბარებენ 36 მილიონ ფუთ პურს.

ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ამთავრებენ პურის აღებას, ნამჯის დაზვინვას, თივის დამზადებას, ასილოსებენ და ამზადებენ წვნიან საკვებს საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის, წარმატებით ემზადებიან სიმინდის, ფეტვის, მზესუმზირასა და სხვა კულტურების მოსავლის მოკლე ვადებში ასაღებად, რათა ვადამდე შეასრულონ სახელმწიფოსათვის მათი ჩაბარების გეგმა.

ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც ზრუნავენ მომავალი წლის მოსავლისათვის, საჭირო რაოდენობით მოიმარაგეს თესლი საშემოდგომო და საზაფხულო თავთავიანი კულტურების დასათესად, ეწევიან ნაწვერალის აოშვას, ანეულის დამუშავებას, საშემოდგომო ხვნასა და ამზადებენ მზრალს საგაზაფხულო კულტურებისათვის.

## დაიწყო [illegible]

ვოლჟსკი, 9 აგვისტო. (საკდესი). [illegible] 3.774 ათასი კუბური მეტრი მიწა. ვეებერთელა ქვაბულიდან ამართულია ჰიდროკვანძის ძირითადი ნაგებობანი — ჰესის შენობები და წყალსაშვები კაშხალი. ორივე ამ ნაგებობაში ჩაწყობილია ასეულ ათასობით კუბური მეტრი რკინაბეტონი.

ნაშუადღევს ქვაბულმა მიიღო ვოლგის პირველი წყალი.

ქვაბულის ავსების შემდეგ მისი ზედა და ქვედა ზღუდარები დაიშლება. ამის შემდეგ დაიწყება მდინარე ვოლგის ნაკადის უკანასკნელი რიგის გადაჩეხვა 300 მეტრ სიგრძეზე. ვოლგის წყალი გაემართება წყალსაშვები კაშხალით ჰიდროელექტროსადგურის მალებში, გემები და ქარავნები გაივლიან შემოსავლელი სანაოსნო არხით.

## 900 მილიონი მაყურებელი

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროში შეაჯამეს კინომომსახურების დარგში კინოთეატრებისა და კულტურის რაიონული განყოფილებების სრულიად საკავშირო შეჯიბრების შედეგები. საუკეთესოთა შორის არიან ნიკოლაევის ოლქის ოქტიაბრსკოეს რაიონის, ორიოლის ოლქის ნოვოსილის რაიონის, ნოვოსიბირსკის ოლქის კრასნოოზერსკოეს რაიონის კულტურის განყოფილებანი, კიშინიოვის კინოთეატრი „პატრია“, დნეპროპეტროვსკისა — „როდინა“, ლენინგრადისა — „ველიკან“ და სხვები, რომელნიც კარგად ეწევიან ახალი ფილმების პროპაგანდას, გულმოდგინედ ემსახურებიან მოსახლეობას და სისტემატურად ასრულებენ გეგმებს.

მაგალითად, ოქტიაბრსკოეს კულტურის რაიონული განყოფილების კინოფიკატორები ფართო პოპულარიზაციას უწევენ სასოფლო-სამეურნეო და მეცნიერულ-პოპულარულ ფილმებს. მათ მოაწყეს რამდენიმე კინოლექტორიუმი. აქ სეანსების დაწყების წინ საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს შრომის მოწინავე მეთოდების, აგრონომიული მეცნიერების მიღწევების შესახებ.

მატულობს თემატური ფილმების ჩვენება. რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში, ლატვიაში, ესტონეთში, აზერბაიჯანში, უზბეკეთსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში მოეწყო სასოფლო-სამეურნეო და მეცნიერულ-პოპულარული კინოსურათების ფესტივალები.

წელს სსრ კავშირის კინოქსელმა 900 მილიონამდე მაყურებელს გაუწია მომსახურება. (საკდესი).

## მეცნიერის დაჯილდოება კ. დ. უშინსკის მედლით

პედაგოგიკისა და სახალხო განათლების დარგში დიდი და ნაყოფიერი მეცნიერულ-ბიბლიოგრაფიული მუშაობისათვის რუსეთის სფსრ განათლების სამინისტრომ კ. დ. უშინსკის მედლით დააჯილდოვა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ა. ზინევიჩი. ზინევიჩი განაგებს რუსეთის სფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის სახალხო განათლების განყოფილებას.

35 წლის განმავლობაში მეცნიერმა დაწერა 60-მდე ნაშრომი. მათ შორის — „ნ. კ. კრუპსკაია ოჯახში ბავშვთა აღზრდის შესახებ“, „შრომისმოყვარეობის აღზრდა სკოლის ასაკში“, „ა. ს. პუშკინის წერილები სახალხო განათლების შესახებ“ და სხვ. (საკდესი).

# საკავშირო პროფსაბჭოს მესამე პლენუმი

9 აგვისტოს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, მუშაობა დაიწყო საკავშირო პროფსაბჭოს მესამე პლენუმმა.

დღის წესრიგშია ორი საკითხი: პროფკავშირთა მუშაობა „მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანათა შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით და ორგანიზაციული საკითხი.

პირველ პუნქტზე მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ნ. სოლოვიოვმა.

აღნიშნა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის უდიდესი მნიშვნელობა, ამხ. სოლოვიოვმა განაცხადა, რომ მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოებში, მშენებლობებზე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად. მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები ენერგიულად იბრძვიან სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი გადიდებისათვის.

მომხსენებელი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გააკრიტიკეს პროფკავშირთა მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობაში, რომ პლენუმმა გამოავლინა ნაკლოვანებანი შრომის დანორმვაში, ხელფასის ტარიფიკაციასა და რეგულირებაში, აღნიშნა არადამაკმაყოფილებელი ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის და ბიუროკრატული დამოკიდებულება მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების საკითხებისადმი.

პროფკავშირებმა უნდა დარაზმონ მეცნიერ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შემოქმედებითი ძალები ტექნიკის გაუმჯობესებისათვის, ნოვატორთა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის. მრეწველობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლა მოითხოვს პროფკავშირთა მუშაობის დონის ამაღლებას. სამწუხაროდ, ბევრი პროფკავშირული ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკა არ შეესაბამება ამ ამოცანებს. პროფკავშირები სუსტად ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ცოტას ზრუნავენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ ცალკეული მუშების, საწარმოთა, მშენებლობათა, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების მუშაობის შედეგების საჯაროობა და შედარების შესაძლებლობა, ცუდად აწყობენ ნოვატორთა პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებას. მანქანათმშენებლობის საწარმოებში სუსტად ინერგება ლითონის ჭრის ჩქაროსნული მეთოდები, ნელი ტემპით ვრცელდება ნოვატორთა გამოცდილება ქვანახშირის მრეწველობაში, შავ და ფერად მეტალურგიაში, ნავთობის მრეწველობაში.

შემდეგ ამხ. სოლოვიოვი ამბობს, რომ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს ხშირად არასწორად აჯამებენ, ამას აკეთებს პროფკავშირული კომიტეტების მუშაკთა ვიწრო წრე. საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს ჯერ კიდევ არ აღმოუფხვრია ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი ამ საქმეში, რის შედეგადაც შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდებოდნენ ხოლმე საწარმოები, რომლებიც უშვებენ მოძველებულ მანქანებს, იყენებენ ჩამორჩენილ ტექნოლოგიას, აქვთ დიდი ნაკლოვანებანი შრომისა და წარმოების ორგანიზაციაში. ფორმალიზმის ერთ-ერთი ყველაზე მავნე გამოვლინება შეჯიბრების ორგანიზაციაში არის პარადული და მოჩვენებითი ხმაური, ყოველგვარი თათბირების მოწყობა ნაცვლად პრაქტიკული ორგანიზატორული მუშაობისა ნოვატორთა შრომის მოწინავე მეთოდების დასანერგავად. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ავტოსატრაქტორო მრეწველობაში, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის საწარმოებში.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მასობრივი გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებასთან, რაც წარმოების გაუმჯობესებაში მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა მონაწილეობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფორმაა. განვლილი ოთხი წლის მანძილზე მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე დაინერგა 3.250 ათასზე მეტი წინადადება. ამასთან ერთად ბევრ საწარმოში მასობრივი გამომგონებლობის დარგში მუშაობა არადამაკმაყოფილებელია.

მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით იზრდება საწარმოო თათბირების მნიშვნელობა.

საბჭოთა პროფკავშირები, რომლებიც თავიანთ რიგებში მშრომელთა მილიონიან მასებს აერთიანებენ, თქვა დასასრულს მომხსენებელმა, მხურვალედ იწონებენ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. საბჭოთა პროფკავშირები აღმოფხვრიან თავიანთ მუშაობაში ნაკლოვანებებს, რომლებიც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში, და კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას 1955 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, პარტიის XX ყრილობას შეხვდებიან ახალი გამარჯვებებით კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

მოხსენების გამო დაიწყო კამათი.

(საკდესი).

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში**

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. გაბუევას ნატა ყაფლანის ასულს — კოლმეურნეს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონის სოფელი ქოზი.
2. ჯინჭარაძეს უმიან მემედის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფელი დოლოგანი.
3. კარაპუტაძეს ხატიჯე ისმაილის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელი დაგვა.
4. მკრტიჩიანს ტირუნ მარტიროსის ასულს — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი ვარევანი.
5. ხუდავერდიანს სრფუი მერკელის ასულს — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი ბეჟანო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 9 აგვისტო.

# მთელი ძალები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებას

## საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი. პლენუმმა მოისმინა და განიხილა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. დ. მამულაძის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგებისა და საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაციის ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ, ხელმძღვანელობდნენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებითა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებებით, აჭარის მრეწველობის მუშაკებმა გარკვეული წარმატებები მოიპოვეს. გასული წლის გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ 105 პროცენტით შეასრულა. განვლილი ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 108,3 პროცენტით.

პლენუმზე გამომჟღავნებულ იქნა სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც კვლავ გვხვდება რესპუბლიკის საოლქო საწარმოთა მუშაობაში. აღინიშნა, რომ მთელ რიგ საწარმოთა პირველადი პარტორგანიზაციები ცუდად იყენებენ ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, ხოლო პარტიის საოლქო კომიტეტი, საქალაქო კომიტეტი და რაიკომები ყოველთვის როდი იღებდნენ ქმედით ღონისძიებებს, რათა რაც შეიძლება მალე აღმოფხვრილიყო ცალკეულ საწარმოთა ჩამორჩენა.

ბათუმის გემშემკეთებელი ქარხნის დირექტორმა პ. ჯორბენაძემ ილაპარაკა, რომ პირველადი პარტორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესების და სამეურნეო ხელმძღვანელობის განმტკიცების შედეგად ამაღლდა წარმოების კულტურის დონე, უფრო სრულად იყენებენ შინარეზერვებს, მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი საწარმოს სპეციალიზაციაში. ქარხნის კოლექტივმა შეძლო დაეძლია გასული წლის ჩამორჩენა და მოწინავეთა რიგებში ჩამდგარიყო.

აღინიშნა, რომ საწარმოებისადმი პარტიის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის დახმარება უფრო ეფექტიანი იქნებოდა მათი მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილებები უფრო ღრმად რომ სწავლობდნენ თვითეული საწარმოს ეკონომიკას, უკეთესად სწავლობდნენ კადრებს. პლენუმზე მკვეთრად გააკრიტიკეს ბათუმის ფანერისა და მანქანათმშენებელი ქარხნების პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები. ეს ქარხნები, ისევე როგორც რესპუბლიკის სხვა საწარმოები, უკანასკნელ წლებში აღიჭურვა სრულყოფილი მანქანებითა და მოწყობილობით, მაგრამ ახალ ტექნიკას აქ ცუდად იყენებენ.

კამათში სიტყვით გამოსულმა მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორმა ი. ნოღაიდელმა აღიარა კრიტიკის სისწორე, რომელიც შეეხებოდა ქარხნის მუშაობის ნაკლოვანებებს. მისი აზრით ნაკლოვანებანი უფრო ცოტა იქნებოდა, სსრ კავშირის მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო უფრო კონკრეტულად რომ ხელმძღვანელობდეს საწარმოს. ამასთან ამხ. ნოღაიდელმა გვერდი აუარა იმ საკითხს, თუ რა კეთდება ქარხანაში იმისათვის, რომ უკეთ გამოიყენონ საწარმოო რეზერვები, გააუმჯობესონ სხმულის ტექნოლოგია და უზრუნველყონ საწარმოს რიტმული მუშაობა.

ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ნაკლოვანებანი, რომლებიც გამოავლინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მრეწველობის მუშაობაში, სავსებით შეეხება აჭარის მრეწველობასაც. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისია, სამინისტროები, უწყებები, სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციები ჯეროვან შეფასებას არ აძლევენ საწარმოთა სპეციალიზაციას, მრეწველობის კოოპერირებას, ჯერ კიდევ საკმაოდ არ მუშაობენ საწარმოებში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის საკითხებზე.

პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს ერთგვარი წარმატებანი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში, რაც გამოიხატება სიმინდის ნათესის გაფართოებით, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის სამი თვის გეგმისა და მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების ვალდებულებათა შესრულებით, ამასთან მწვავედ გააკრიტიკეს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი.

ყველა ორატორმა ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებულმა პლენუმმა ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და დასახა ღონისძიებანი ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

* * *

გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებით 3 დეკემბერს მოწვეულია ბათუმის პარტიული ორგანიზაციის საქალაქო კონფერენცია, ხოლო 10 დეკემბერს — საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კონფერენცია.



მოწინავეთა გამოცდილება — ყველა მუშას. თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის ქვეოსტატი ა. შანავა ენერგიულად მუშაობს მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის თავის კომპლექტში. სურათზე: ა. შანავა (მარჯვნიდან) აცნობს მეფთილეებს თ. ლომაკოვას და ვ. გაგლოშვილს მოწინავე მეფთილეთა მუშაობის ხერხს.

ფოტო შ. გოქაძისა.

## პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად

### მეტრიკოტაჟეთა ახალი ვალდებულებანი

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში ამას წინათ დეპეშა მიიღეს ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტიდან. კომბინატის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, მოსამსახურეებს ულოცავდნენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე ადგილის მოპოვებას და 112.510 მანეთ პრემიას. ამან ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. აღფრთოვანებული მეტრიკოტაჟეები სახელდახელო მიტინგზე შეიკრიბნენ, პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს და ახალი, გადიდებული ვალდებულებები იკისრეს 1955 წლის დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით განაღდების უზრუნველყოფისათვის, სკკპ XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

— ჩვენი კოლექტივი, — თქვა მიტინგზე კომბინატის დირექტორმა ამხ. ე. თავაძემ, — მაღალხარისხოვანი პროდუქციით ამარაგებს ბევრ სატრიკოტაჟო საწარმოს.

ამხ. თავაძემ მოუწოდა კოლექტივს თავდადებით იბრძოლოს ყრილობის აღსანიშნავად ახალი, უფრო მაღალი მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

— ყველა შესაძლებლობა გვაქვს საწარმოო დავალებები შევასრულოთ სულ მცირე 110 პროცენტით. ამას უნდა მივაღწიოთ მოკლე ხანში და ახალი წარმატებებით შევხვდეთ სკკპ XX და საქართველოს კპ XVII ყრილობებს.

თავისი ცვლის სახელით ოსტატმა რ. ქუთათელაძემ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მ. კარაპეტიანის ცვლა და იკისრა 1955 წლის დავალება შეასრულოს 20 დეკემბრისათვის, გეგმის გადაჭარბებით გამოუშვას 15 ტონა მაღალხარისხოვანი ნართი.

ყრილობის აღსანიშნავად კომბინატის კოლექტივმა იკისრა: მიმდინარე წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულოს 21 დეკემბრისათვის და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 2.456 ათასი მანეთის პროდუქცია, სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცეს 70 ტონა ცალთა ნართი, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდოს 1,4 პროცენტით, დაზოგოს 900 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 38 ტონა ბამბა, ათობით ტონა საწვავი, 9,3 პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება.

### შეჯიბრებაში ჩაებნენ მეშახტეები

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). ტყვარჩელელი მეშახტეები დიდი ხალისით ჩაებნენ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, იკისრეს ახალი, გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი. მეშახტეთა შორის შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა მეორე შახტის კოლექტივი, რომელმაც იკისრა ქვანახშირის მოპოვების მიმდინარე წლის გეგმის ვადამდე შესრულება და სამთომოსამზადებელ სამუშაოთა ისე განვითარება, რომ უზრუნველყოს მომავალი წლიდან ქვანახშირის ამოღების ფრონტის გაფართოება.

სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი შეჯიბრებაში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად შეუდგა მცირე სიმძლავრის ფენათა დასამუშავებელი კომბაინის გამოყენებას და მესამე საექსპლოატაციო უბანზე სამაგრი მასალის მიწოდების მექანიზაციას.

შეჯიბრების დაწყებიდანვე ტყვარჩელის შახტებში იგრძნობა მასების შრომითი აქტივობის ამაღლება, რაც იწვევს ქვანახშირის მოპოვების შეუნელებელ ზრდას.

# პარტიული ქრონიკა

### პარტიული მუშაკების სწავლება

ჭიათურა. („კომუნისტის" კორ.). პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ამას წინათ მოაწყო პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების სემინარი, რომელშიც 76 კაცი იღებდა მონაწილეობას. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები და მოხსენებები პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებზე. ლექციები და მოხსენებები წაიკითხეს რაიკომის ბიუროს წევრებმა და სხვა ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

სემინარის მონაწილეებისათვის მოეწყო ექსკურსიები სტალინის სახლ-მუზეუმში ქ. ჭიათურაში, დიდი ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის სახლში სოფელ სხვიტორში და ჭიათურის რაიონის სოფელ ითხვისის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში.

ვანი. („კომუნისტის" კორ.). პარტიის რაიკომმა მოაწყო პარტორგანიზაციების მდივნების 5-დღიანი სემინარი. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები და მოხსენებანი პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე. ლექციები და მოხსენებები წაიკითხეს პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაკებმა.

პარტორგანიზაციების მდივნებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება.

### აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარი

თერჯოლა. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომი მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდისათვის.

ამ დღეებში მოეწყო კოლმეურნეობებთან და საწარმო-დაწესებულებებთან არსებული აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარი. სემინარის მეცადინეობის თემა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და აგიტატორთა ამოცანები.

### კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოხსენება რაიკომის პლენუმზე

ჩხოროწყუ. („კომუნისტის" კორ.). საქართველოს კპ ჩხოროწყუს რაიკომის პლენუმმა მოისმინა სოფელ ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის გ. ცირდავას მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

პლენუმზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ თვეებში კოლმეურნეობაში მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა. შეძენილ იქნა 35 სული ჯიშიანი ძროხა, რომლებიც მთლიანად გადაყვანილია ბაგურ-ბანაკურ კვებაზე. პირუტყვი უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი ბინებით. ფერმები განმტკიცებულია კადრებით. ამაღლდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

მიღწევებთან ერთად პლენუმმა აღნიშნა, რომ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ შესრულებული არ არის ძროხისა და ღორის სულადობის ზრდის გეგმა. ძალიან ცუდი მდგომარეობაა ნამატის შენარჩუნების მხრივ და სხვ.

პლენუმმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

### სასოფლო კლუბის მუშაობის საკითხი რაიკომის ბიუროზე

დრანდა. (საკ. კორ.). პარტიის გულრიფშის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი წებელდის სასოფლო კლუბის მუშაობის შესახებ. ბიუროზე აღინიშნა, რომ წებელდის სასოფლო კლუბს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს. კლუბში ცუდად არის დაყენებული მშრომელთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობა. კლუბს არა აქვს სამუშაო გეგმა, ფორმალურად არსებობს საკლუბო საბჭო, ჩაშლილია საწრეო მუშაობა.

გულრიფშის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება და წებელდის სასოფლო საბჭოს აღმასკომი სათანადო დახმარებას არ უწევენ კლუბს სოფლად კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაშლის საქმეში.

სასოფლო კლუბის მუშაობის გასაუმჯობესებლად რაიკომის ბიურომ სათანადო ღონისძიებანი დასახა.

# სანიმუშოდ მოვამზადოთ სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის

## თათბირი საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში

პარტიის XIX ყრილობის დირექტივა პოლიტექნიკური სწავლების შემოღების შესახებ საბჭოთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას ახალ, დიდმნიშვნელოვან ამოცანებს უსახავს. უკანასკნელ დრომდე საშუალო სკოლა ამზადებდა ახალგაზრდა კადრებს მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. ახლა სკოლამ ისე უნდა მოაწყოს სწავლებისა და აღზრდის საქმე, რომ წარმატებით მოამზადოს ახალგაზრდები არა მარტო უმაღლეს სასწავლებლებში, არამედ სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში შესასვლელად, აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში კვალიფიციურ მუშათა რიგების შესავსებად.

ამ ამოცანების განხორციელება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოვემზადებით ახალი სასწავლო წლისათვის. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა თათბირი, რომელიც მოიწვია საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა. თათბირს დაესწრნენ რაიონებისა და ქალაქების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრები, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის, პარტიის საოლქო კომიტეტების სასკოლო განყოფილებათა გამგეები.

თათბირის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს მომავალ სასწავლო წელს სკოლების წინაშე მდგომ ახალ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანებზე. მათ აღნიშნეს, რომ საჭიროა განსაკუთრებული მუშაობა, რათა განხორციელდეს ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილება ჩვენს რესპუბლიკაში უახლოესი ორი-სამი წლის მანძილზე ათწლიანი სწავლების შემოღების შესახებ.

თათბირის მონაწილეებმა ილაპარაკეს იმ უდიდეს მზრუნველობაზე, რასაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. სკოლების პოლიტექნიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ახალ სასწავლო გეგმას, რომლითაც საბჭოთა სკოლა მუშაობას შეუდგება 1955-56 სასწავლო წელს. ამ გეგმით შრომისა და პრაქტიკული მეცადინეობის გაკვეთილებთან ერთად შემოღებულია პრაქტიკუმები სოფლის მეურნეობის, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის დარგში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ უფლება მისცა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკათა სამინისტროებსა და უწყებებს უსასყიდლოდ გადასცენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს წარმოებაში გამოუყენებელი, მაგრამ პოლიტექნიკური სწავლების მიზნებისათვის ვარგისი ჩარხები, ელექტრომოტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ტრაქტორები, ავტომობილები, მანქანების დეტალები, ინსტრუმენტები, ლაბორატორიული და სხვა მოწყობილობანი. სსრ კავშირის მთავრობის ეს განკარგულება პოლიტექნიკური სწავლების დანერგვისათვის სახალხო განათლების ორგანოებსა და სკოლებს საჭირო სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნის ფართო შესაძლებლობას აძლევს. სახალხო განათლების ორგანოებმა, სკოლების ხელმძღვანელებმა და მასწავლებლებმა სათანადო ინიციატივა უნდა გამოიჩინონ ამ შესაძლებლობის უნაკლოდ გამოყენებისათვის.

როგორც თათბირზე აღინიშნა, ახალი სასწავლო წლისათვის მზადება წინა წლებთან შედარებით წელს უკეთ მიმდინარეობს. ამ საქმეში სერიოზულ მუშაობას ეწევიან აჭარაში, ქ. თბილისში, აბაშის, ახალციხის, საგარეჯოს, მცხეთის, სამტრედიის, ქუთაისისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში. მაგრამ სახალხო განათლების ორგანოებისა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მიერ ამ მხრივ განხორციელებული ღონისძიებანი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 25 ივლისის ცნობებით, რესპუბლიკაში კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 371 სასკოლო შენობას, ნაცვლად 810-ისა, ე. ი. გეგმა 50 პროცენტითაც არ არის შესრულებული. ასევე შეიძლება ითქვას მიმდინარე რემონტზე. რესპუბლიკაში მიმდინარე რემონტი უნდა გაუკეთდეს 3.129 სასკოლო შენობას, ფაქტიურად იმავე რიცხვისათვის შეკეთებულია 1.841 შენობა. ზამთრის სეზონისათვის უნდა დამზადდეს 176.677 კუბმეტრი შეშა, დამზადებული და სკოლებში მიტანილია 62.000 კუბმეტრი.

სასწავლო წლისათვის მზადებაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ ახალქალაქის, გურჯაანის, დმანისის, თიანეთის, ყაზბეგის, გორის, ცაგერისა და სხვა რაიონები, სადაც ჯეროვან პასუხისმგებლობას არ იჩენენ ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად.

აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა ამხ. ვ. ახვლედიანმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ემზადებიან აჭარის სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის. იგი შეჩერდა სასკოლო მშენებლობაზე და აღნიშნა, რომ ამ დიდ საქმეს ხელს უშლის საშენი მასალების უქონლობა. მან მოითხოვა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დახმარება უცხო ენების მასწავლებელთა დაკომპლექტებაში.

ამხ. ახვლედიანმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ პატრიოტულ ინიციატივას, რასაც აჭარის კოლმეურნეობები და მშრომელი მოსახლეობა იჩენენ სასკოლო მშენებლობაში, რომელიც ნამდვილად საყოველთაო-სახალხო საქმედ გადაიქცა. შარშან მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით აგებულ იქნა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავის საშუალო სკოლის ახალი, 16-ოთახიანი ორსართულიანი კაპიტალური შენობა. ამ საქმეში დიდი მონდომება გამოიჩინა ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. ბალაძემ. გასულ წელს დაიწყო აგრეთვე ქობულეთის რაიონის ხუცუბნის საშუალო სკოლის მშენებლობა, რომელსაც წელს სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ განუყოფელი ფონდიდან საკმაო თანხა გამოუყო. ამ სკოლის მშენებლობა 1 სექტემბრისათვის დამთავრდება.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს აგრეთვე ქობულეთის რაიონის ალამბრის და დაგვის რვაწლიან, მუხაესტატეს და ხალას საშუალო, ბათუმის რაიონის ფერიის და თხილნარის, ქედის რაიონის დოლოგანის და აკის, შუახევის რაიონის ნიგაზეულის, ხულოს რაიონის agარის რვაწლიანი და მთელი რიგი სხვა სკოლების მშენებლობაზე, რაც მოსახლეობის ინიციატივით დაიწყო.

აჭარის სკოლებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ შეფი ორგანიზაციები: ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა, „გლავნეფტესბიტის" ბათუმის განყოფილება, აჭარის სარეწაო საბჭო და სხვ.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ამხ. გ. ჯიბლაძემ აღნიშნა, რომ ახალი სასწავლო გეგმა დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს სახალხო განათლების ორგანოებს. იქმნება ერთგვარი სირთულე ახალი საგნების შესწავლაში. ამ სიძნელეთა დასაძლევად საჭიროა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა ადგილებზე დროულად მოაწყოს მასწავლებელთა გადამზადება. ამხ. ჯიბლაძემ აგრეთვე ილაპარაკა ჩამორჩენაზე სასკოლო მშენებლობაში და ამ მხრივ განსაკუთრებით გააკრიტიკა აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრო, რომელმაც სასკოლო მშენებლობისათვის გათვალისწინებული თანხების ათვისება საფრთხის წინაშე დააყენა. ორატორი შეეხო აგრეთვე სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის საკითხს და განაცხადა, რომ ამ საქმეში სერიოზული ჩარღვევის მიზეზია „იერიშობანა" სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობაში, აგრეთვე პოლიგრაფიული ბაზის ჩამორჩენილობა.

სასწავლო-საცდელი ნაკვეთი ჯერ კიდევ ყველა სკოლას არა აქვს, სადაც არის, ბევრ შემთხვევაში მოუვლელია.

მართალია, წელს დიდი მუშაობა ჩატარდა, რათა მედლები მინიჭებოდა ღირსეულთ, მაგრამ ზოგიერთი სკოლის დირექტორისა და მასწავლებლის უპასუხისმგებლობის შედეგად ადგილი ჰქონდა სრულიად დაუმსახურებლად მედლებზე წარდგენის ფაქტებს. განათლების სამინისტრო უახლოეს ხანში განიხილავს აღნიშნული დირექტორებისა და მასწავლებლების საკითხს და მათ მიმართ მიიღებს სათანადო ადმინისტრატიულ ზომებს.

თელავის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ა. ნადაშვილმა თავისი გამოსვლა ძირითადად მიუძღვნა სასკოლო პარტიული ორგანიზაციების მუშაობას. მან თქვა, რომ სასკოლო პარტორგანიზაციებს, რომლებიც თითქმის ყველა სკოლაშია, არადამაკმაყოფილებლად ეხმარებიან რაიონული პარტიული კომიტეტები. რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთები იშვიათად წერენ სასკოლო პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების შესახებ.

ახალი სასწავლო წლისათვის უკეთ მოემზადნენ ქ. თბილისის ორჯონიკიძის, 26 კომისრისა და ლენინის რაიონების სკოლები. მზადების საქმეში ამ რაიონების გამოცდილებაზე თათბირს მოუთხრო თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ამხ. თ. მათიაშვილმა. სასწავლო წლისათვის მზადება ორჯონიკიძის რაიონმა დაამთავრა 2? ივლისისათვის, ხოლო 26 კომისრის რაიონმა — 1 აგვისტოსათვის. ამხ. მათიაშვილმა ხაზი გაუსვა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა წარმოებაში ჩაბმის აუცილებლობას და განაცხადა, რომ შარშან 3.908 კურსდამთავრებულიდან 823 არ მუშაობდა. მომავალი წლიდან ასეთი მდგომარეობა აღარ უნდა განმეორდეს.

თათბირზე დიდი ყურადღება მიექცა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების საკითხს. მიმდინარე წლის აგვისტოში სრულდება ამ ისტორიული კანონის მიღების 25 წლისთავი. მოკამათეებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორი მაჩვენებლებია ამ დარგში და რა უნდა გაკეთდეს მომავალი ხუთწლედიდან საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის. დასახელებულ იქნა მოსწავლეთა განთესვის მთელი რიგი შემთხვევები. გასულ სასწავლო წელს მრავალი ბავშვი იყო განთესილი ამბროლაურის, გარდაბნის, ახალქალაქის, ზუგდიდის, ახმეტის, კასპისა და სხვა რაიონებში.

სასკოლო მშენებლობა პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და მშრომელი მოსახლეობის მუდმივი მზრუნველობით არის გარემოსილი. მიუხედავად ამისა, ბევრგან მშენებლობის ტემპი და ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. კამათის მონაწილეებმა მოიყვანეს დაბალხარისხოვანი მშენებლობის ფაქტი: თელავის მე-4 საშუალო სკოლის შენობას, რომლის აგება შარშან დამთავრდა, კარები ისე ვიწრო ჰქონდა, რომ სასკოლო მერხები დაშლილი შეიტანეს ოთახებში და შიგააწყეს. საჭირო გახდა კარების გადაკეთება, იატაკის ხელახლა დაგება და სხვა სამუშაოთა შესრულება, რამაც საგრძნობი დამატებითი სახსრები მოითხოვა. ქალაქ ქუთაისის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ი. ბალანჩივაძემ სასკოლო მშენებლობის შეფერხების ერთ-ერთ მიზეზად დაასახელა საშენი მასალებით მოუმარაგებლობა. ნელი ტემპით მიმდინარეობს ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლის შენობის გაფართოების სამუშაოები, რადგან არ ჰყოფნით საარმატურე რკინა, პარკეტი და სხვა მასალები.

სასკოლო მშენებლობის შესახებ ილაპარაკა აგრეთვე აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა ამხ. ნ. გერიამ. მან განაცხადა, რომ მიმდინარე წლის გეგმით სოხუმში შენდება საშუალო სკოლის ორი შენობა, ხოლო 1 სექტემბრისათვის გათვალისწინებულია ბზიფის 8-წლიანი სკოლის შენობის საექსპლოატაციოდ გადაცემა. სოხუმის სკოლების მშენებლობას სიძნელეებს უქმნის ზოგიერთი საშენი მასალის უქონლობა. ამხ. გერიამ პირობა მისცა თათბირის მონაწილეებს, რომ სათანადო ზომებს მიიღებენ სასკოლო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების დროულად ათვისებისა, აგრეთვე მშენებლობათა ობიექტების საჭირო საშენი მასალებით მოსამარაგებლად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგე ამხ. თ. ლაშქარაშვილი შეჩერდა იმ მუშაობაზე, რასაც ჩვენი რესპუბლიკის სკოლები ეწევიან პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების დარგში.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეისწავლა პოლიტექნიკური სწავლების დაყენების საკითხი თბილისში, ფოთში, გურჯაანის, ცხაკაიას და მთელ რიგ სხვა რაიონებში. გამოირკვა, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. იშვიათი როდია შემთხვევა, როცა ზერელედ ატარებენ შრომის გაკვეთილებს, ცვლიან მას ფიზკულტურის ან სხვა საგნის სწავლებით. ნაკლები ყურადღება ექცევა სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე მუშაობას. მთელ რიგ სკოლებს ჯერ კიდევ არა აქვთ ნაკვეთი და თუ აქვთ, მას ცუდად უვლიან. ეს ნაკვეთები ზოგჯერ გამოყენებული არ არის სასწავლო მიზნებისათვის, მოსწავლეთა შრომითი ჩვევების აღზრდისათვის. თბილისის 27-ე სკოლის მიწას ამუშავებენ არა მოსწავლეები, არამედ სპეციალურად გამოყოფილი მებაღე. ანალოგიური მდგომარეობაა ნორჩ ნატურალისტთა ცენტრალურ სადგურშიც, რომელიც სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს უნდა აძლევდეს რესპუბლიკის სკოლებს.

ამხ. ლაშქარაშვილმა ხაზი გაუსვა სასკოლო პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლების აუცილებლობას. პარტიის რაიონული კომიტეტები ზოგჯერ ივიწყებენ სასკოლო პარტიულ ორგანიზაციებს, არ სწავლობენ სასკოლო ცხოვრებას, იშვიათად განიხილავენ ბიუროებზე სასკოლო მუშაობის საკითხებს. აგვისტოს ბოლო რიცხვებში გაიმართება მასწავლებელთა ტრადიციული თათბირები. საჭიროა ეს თათბირები ახლებურად, შემოქმედებითად მოვაწყოთ, ღრმა ანალიზი გავუკეთოთ გასული სასწავლო წლის შედეგებს, დავსახოთ ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

1 სექტემბერი მოსწავლის ცხოვრებაში დაუვიწყარი, ღირსსახსოვარი დღეა. კარგ ინიციატივას იჩენენ ქ. თბილისის სკოლები, რომლებმაც გადაწყვიტეს საზეიმო შეხვედრა მოუწყონ ამ დღეს. სწავლების დაწყების აღსანიშნავად სკოლებში გაიმართება მხატვრული საღამოები, მოეწყობა სიმღერები და ცეკვები. ეს ინიციატივა მისაბაძი მაგალითია ჩვენი რესპუბლიკის სხვა სკოლებისთვისაც.

პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგემ ამხ. გ. ივანიძემ, პარტიის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებმა ნ. წიტაიშვილმა (მახარაძე) და მ. ავოიანმა (ბოგდანოვკა) აღნიშნეს, რომ აუცილებელია გაძლიერდეს პარტიული ხელმძღვანელობა სკოლებისადმი. მათ ილაპარაკეს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე.

აღინიშნა, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ ამ უკანასკნელ ხანს განხორციელებულმა ისეთმა ღონისძიებებმა, როგორიც არის ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შემოღება, ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლა, პოლიტექნიკური სწავლების დანერგვა და სხვ., დიდად შეუწყო ხელი სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესებას. მაგრამ სკოლების საქმიანობაში მაინც არის სერიოზული ნაკლოვანებანი, განსაკუთრებით მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის განმტკიცების დარგში. ჩვენს რესპუბლიკაში ათწლიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით კიდევ უფრო იზრდება სახალხო განათლების მუშაკთა პასუხისმგებლობა კომუნისტური სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდის საქმეში.

როგორც თათბირზე ითქვა, დღემდე საჭირო ყურადღება არ ექცევა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადება-გავრცელებას. სახალხო განათლების ორგანოების, რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაკები გულდასმით არ ეცნობიან მდგომარეობას ადგილებზე, ხშირად არ იციან, რა ხდება ამა თუ იმ სკოლაში.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გაბედულად უნდა ვამხილოთ სასკოლო ცხოვრების ნაკლოვანებანი, სასკოლო პარტიული ორგანიზაციების მდივნებად ავირჩიოთ ყველაზე უნარიანი, ავტორიტეტიანი პედაგოგები.

სასწავლო წლისათვის მზადება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საყოველთაო-სახალხო საქმეა. სწავლის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. საჭიროა განვახორციელოთ ქმედითი ღონისძიებანი, რათა მაქსიმალურად გამოვიყენოთ დარჩენილი მცირე დრო, სანიმუშოდ მოვამზადოთ სკოლები სასწავლო წლისათვის, ახლებურად, ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად წარვმართოთ სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. დ. მჭედლიშვილი.

# 60 შეტყობინება მოგების შესახებ

სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მფლობელთა მომსახურების გასაადვილებლად საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების და სახელმწიფო კრედიტების სამმართველოსთან მოწყობილია მოგებათა ტირაჟების მიხედვით სახელმწიფო სესხების ობლიგაციების დაუსწრებელი შემოწმება.

საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელები ფართოდ სარგებლობენ მოგებათა დაუსწრებლად შემოწმების ბიუროს მომსახურებით.

აქ შესამოწმებლად გადმოგზავნილია მოგებათა დაუსწრებლად შემოწმების 31.000-ზე მეტი ბარათი. მიმდინარე წლის მარტო 6 თვის განმავლობაში შესამოწმებლად მიღებული იყო 2.000-მდე ბარათი.

მარტო ერთ დღეს სახელდობრ, 4 აგვისტოს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის მე-16 ტირაჟში შეხვედრილ მოგებათა შესახებ 60-ზე მეტი შეტყობინება გაეგზავნათ სესხის ობლიგაციების მფლობელებს. სულ მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში მოგებათა შემოწმების ბიურომ სესხის ობლიგაციების მფლობელებს გაუგზავნა 500-მდე შეტყობინება მოგებათა შესახებ, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გასულ წელს შესაბამის პერიოდში გაგზავნილ შეტყობინებათა რაოდენობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილები რედაქციას

### ლოკომოტივშემკეთებლები საშეფო სოფელში

უკვე ორი წელიწადი სრულდება, რაც თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის შეფია. ბევრი დახმარება გაუწია ამ ხნის განმავლობაში შეფმა კოლმეურნეობას, მაგრამ განსაკუთრებული ეფექტი მოგვცა შეფის დახმარებამ წელს. ამას წინათ ქარხნის კოლექტივმა იკისრა კოლმეურნეობისათვის 15 აგვისტომდე აეშენებინა 350 ტონა სილოსის ტევადობის ორი კოშკი. ამ დავალების შესასრულებლად ქარხნიდან გაგზავნეს კომკავშირული ბრიგადა, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას და კოშკების მშენებლობა ორი კვირით ადრე — 31 ივლისისათვის დაამთავრა.

სასილოსე კოშკების მშენებლობაში ქარხნიდან საშეფო სოფელში ჩასულთაგან განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კომკავშირლებმა თ. ალხაზიშვილმა, ო. დავაძემ, პ. მაღლაკელიძემ და ბრიგადის ხელმძღვანელმა ა. გარიშვილმა.

სასილოსე კოშკების კოლმეურნეობისათვის ჩაბარებისას შედგა კოლმეურნეთა მიტინგი. კოლმეურნეებმა შეფს მადლობა გადაუხადეს ძმური დახმარებისათვის.

**გ. სამხარაძე,**
თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანი.

### ვაკის პარკში

თბილისში ბევრი მიმზიდველი ადგილი, ბევრი კეთილმოწყობილი ბაღი და პარკია, რომლებიც დიდ მომსახურებას უწევენ ზაფხულში ქალაქში მყოფ მშრომელებს.

რამდენიმე წლის წინათ ვაკეში პარკის მშენებლობა დაიწყო. ამჟამად პარკი 200 ჰექტარ ფართობზეა გაშლილი. წყნეთის ნიავი ნორჩ ხეებს სასიამოვნოდ აშრიალებს. გრილა, განსაკუთრებით საღამოს. კარგია ამ პარკში დასვენება, მაგრამ იქ მყოფნი შებინდებისთანავე ტოვებენ პარკს, რადგან ელექტროგაყვანილობა არ არის და ორი პროჟექტორი პარკის გასანათებლად არ კმარა. ადმინისტრაციას, როგორც ჩანს, არც ამ საკითხზე და არც დამსვენებელთა კულტმომსახურებაზე არ უფიქრია. მშრომელთა გართობისა და კულტურული დასვენებისათვის არ არის საზაფხულო კინოთეატრი, ესტრადა. ამ საკითხის მოგვარებით პარკი ბევრად უფრო მეტ დამსვენებელს მიიზიდავდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარკში არა აქვთ ვიტრინა გაზეთებისათვის, ხოლო სასპორტო მოედნის მშენებლობა ჭიანურდება.

ზაფხულის ცხელ დღეებში განსაკუთრებით საჭიროა პარკების, კერძოდ ვაკის პარკის ადმინისტრაციამ იზრუნოს ქალაქში დარჩენილი მშრომელების კულტურული მომსახურებისათვის.

**ინჟინერი ვ. მუჯირი.**

## სანიმუშო სანიტარული წესრიგის დასაცავად

ქალაქში მტკიცე სანიტარული წესრიგის დაცვა მშრომელთა ჯანმრთელობის საწინდარია. ეს კარგად აქვთ შეგნებული ქუთაისის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ამიტომ ისინი მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებენ ქალაქში მტკიცე სანიტარული წესრიგის დასამყარებლად. უკანასკნელი ორნახევარი წლის მანძილზე ქალაქში მოასფალტებულ იქნა ქუჩები და მოედნები 253 ათას კვადრატულ მეტრზე. წელს წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი 9 კილომეტრზე გაფართოვდება. მიმდინარეობს შაუმიანის, ნინოშვილისა და სოხუმის მაგისტრალური ქუჩების კანალიზაციის ქსელის მშენებლობა. ყოველივე ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მტკიცე სანიტარული წესრიგის დაცვას.

მაგრამ სანიტარული წესრიგის დაცვის საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. მთელი რიგი ქუჩები კარგად არ სუფთავდება, საზოგადოებრივი კვების ზოგიერთ ობიექტში ანტისანიტარიაა. არც თუ ცოტაა ისეთი ქუჩები, რომლებზეც წვიმის დროს გავლა თითქმის შეუძლებელია. ჭავჭავაძის, ნინოშვილის, კეცხოველის ქუჩებზე, აგრეთვე საკონსერვო ქარხნის ახლოს შესახვევებში წვიმის შემდეგ გუბეები დგება.

ქუთაისში არის მრავალი ქუჩა და შესახვევი, რომლებიც არ იგვება. პირიქით, ზოგიერთი ქუჩის გარკვეული ნაწილი სანაგვედ არის გამოყენებული. მაგალითად, მაუდის ფაბრიკის ახლოს მარდალეიშვილის ქუჩის № 32 სახლის მობინადრეებს ჩიხის დასაწყისი სანაგვედ გადაუქცევიათ, ხოლო ნინოშვილის ქუჩის ნაწილი ლუდის ქარხნის ახლოს ნაგვის დასაყრელ მუდმივ ადგილად მიუჩნევიათ.

სასტუმრო „ქუთაისის“ (დირექტორი გ. ზვიადაძე) ეზოში ანტისანიტარიაა. აქ უხვად ყრია სამშენებლო ნარჩენები, დროულად არ გვიან ეზოს და არ გააქვთ ნაგავი. მსგავსი მდგომარეობაა ქალაქის ცენტრში ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე № 13 სახლის ეზოში.

ქალაქში სისუფთავის დაცვა დიდად არის დამოკიდებული საცხოვრებელი სახლებისა და ეზოების ინდივიდუალურ მფლობელებზე. ქუთაისში მათი რიცხვი დიდია. მათ შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობის მიუწყებისა და კონტროლის მოდუნების შედეგად ზოგიერთს ეზო ფარეხად აქვს გადაქცეული. ხშირად შეუფერებელ ადგილზე და სანიტარული წესების სრული უგულებელყოფით არის დადგმული საპირფარეშო, სანაგვე ყუთი. ამის შესახებ ფაქტები ბლომად შეუგროვებიათ ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მუშაკებს, მაგრამ უსუფთაობის სალიკვიდაციოდ გადამჭრელ ზომებს არ იღებენ.

ნაკლები ყურადღება ექცევა სისუფთავის დაცვას № 1 საკოლმეურნეო ბაზარში განლაგებულ საკოლმეურნეო ვაჭრობის მაღაზიებში. მაღაზიაში, სადაც გამგე-გამყიდველად მუშაობენ ნ. გოგიაშვილი და ვ. გაბრიჩიძე, სიხინძურეა. შემოწმებისას დახლის ქვეშ ნაგვით სავსე ტაშტი აღმოჩნდა. გოგიაშვილმა და გაბრიჩიძემ კი ეს ფაქტი გულმავიწყობას მიაწერეს. სადგომი ადგილის მიუჩენლობის გამო საჭაპანო ტრანსპორტი მთელი დღეობით ბაზრის მახლობელ ქუჩებზე დგას და პირუტყვი იქაურობას აბინძურებს.

სანიმუშო სანიტარული წესრიგის დაცვა ყველაზე მეტად საზოგადოებრივი კვების დარგის მუშაკებს მოეთხოვებათ, მაგრამ ხშირად ეს მოთხოვნა უგულებელყოფილია. რესტორან „გემოში“ ჭერი და კედლები დაზიანებული და დაბინძურებულია. შესასვლელში იატაკი აყრილია. რესტორანს რემონტი ესაჭიროება, მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობს. რემონტის დაწყებას აჭიანურებენ აგრეთვე № 5 სასადილოში.

კერძების დამზადებას ყველგან მთელი პასუხისმგებლობით როდი ეკიდებიან. რესტორან „ქუთაისის“ (დირექტორი ი. ასამბლიანი, უფროსი მზარეული ა. ჯოჯუა) სამზარეულოში აღმოჩნდა ნასუფრალი პურის ორცხობილა, მზარეულებს ჭუჭყიანი ხალათები აცვიათ.

ქალაქში სანიტარული წესრიგის დარღვევაში ბრალი მარტო დასუფთავების მუშაკებს არ მიუძღვით, მილიციის ორგანოებიც სუსტად იბრძვიან სისუფთავის დასაცავად. აღსანიშნავია ისიც, რომ საჭაპანო ტრანსპორტი თავისუფლად მოძრაობს ყველა ქუჩაზე. ამიტომ არის, რომ კეთილმოწყობილი, მოასფალტებული მაგისტრალური წულუკიძის ქუჩა ყოველთვის დანაგვიანებულია.

ქალაქის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მუშაკები არ ეწევიან სათანადო ახსნა-განმარტებით მუშაობას. ამას წინათ ჯარიმა ისე გადაახდევინეს ქუთაისის ავტოქარხნის დირექციას, რომ არც კი გააგებინეს ჯარიმის მიზეზი.

საქართველოს სს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ ქალაქისათვის მიცემული შრომის ლიმიტი ვერ უზრუნველყოფს კომუნალურ მომსახურებას. შრომის ლიმიტის სიმცირის გამო ერთ დამგველზე აქ საშუალოდ 3-4 ათასი კვადრატული მეტრი მოდის ნაცვლად 1.700-2.500 კვადრატული მეტრისა. ამას გარდა არ ზრუნავენ დამგველთა კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ქუთაისში მრავალ ქუჩაზე არ არის კანალიზაცია, ფეკალური სითხის გასაზიდად მხოლოდ ერთი ავტომანქანაა გამოყოფილი.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უფრო მეტად უნდა იბრძოლონ ქალაქში სანიმუშო სანიტარული წესრიგის დასაცავად. საჭიროა სისტემატურად მოეწყოს საწარმო-დაწესებულებებში, აგრეთვე მოსახლეობაში ლექცია-საუბრები, მეეზოვეთა და ქუჩების დამგველთა შორის გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება, ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ ქუთაისი სისუფთავის დაცვის მხრივ მოწინავეთა რიგებში იდგეს.

**გ. ხენზავა,**
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

## საჩხერის რაიონში

### სამკურნალო წყარო

რამდენიმე წლის წინათ გეოლოგიური ბრიგადის მუშაობისას ხოდაბუნში წყარომ ამოხეთქა. შემოწმებით დადასტურდა, რომ იგი შეიცავს რკინაგოგირდს და კარგად მოქმედებს რევმატიზმით დაავადებულებზე. სოფელ მერჯევის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობამ აქ ააგო ორსართულიანი კაპიტალური შენობა, სადაც მოთავსებულია დასასვენებელი სახლი. პირველ სართულში ცხრა აბაზანაა, ხოლო მეორე სართულზე 30 საწოლი დამსვენებელთათვის. აქ სამკურნალოდ მეზობელი რაიონებიდანაც მოდიან.

### აგურის ქარხანა

ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა დაამთავრა აგურის მექანიზებული ქარხნის მშენებლობა, რომელიც 200.000 მანეთამდე დაჯდა. მექანიზებული ქურა ერთდროულად 40.000 აგურს იტევს. ქარხანა ყოველწლიურად 1.500.000 ცალ აგურს გამოუშვებს, რაც საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ მშენებლობას მოხმარდება.

### მექანიზებული ფერმები

სოფელ სავანის სტალინის სახელობის, ჩიხის ჟდანოვის სახელობისა და სხვიტორის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობებში დამთავრდა მექანიზებული ფერმების მშენებლობა. თვითეული ფერმა 75 ძროხას იტევს.

### სასოფლო ბიბლიოთეკები

იზრდება სასოფლო ბიბლიოთეკების ქსელი და წიგნის ფონდი. ამჟამად აქ 25 ბიბლიოთეკას 105.000 წიგნი აქვს და 15.000-მდე მკითხველი ჰყავს. ახლახან წითელსოფელსა და მახათაურში გაიხსნა ახალი ბიბლიოთეკები, რომლებიც უზრუნველყოფილია ლიტერატურითა და ინვენტარით. სასოფლო ბიბლიოთეკებისათვის წელს შეძენილია 45.000 მანეთის მხატვრული, პოლიტიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა. მოკლე ხანში დამატებით შეიძენენ 28.000 მანეთის წიგნებს.

**პ. ჩიოკაძე.**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## 42 სოციალისტური შრომის გმირი ერთ კოლმეურნეობაში

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა რაიონში ერთ-ერთი მძლავრი კოლმეურნეობაა. ახალსოფლელები ყოველწლიურად ზრდიან ჩაის ფოთლის, სიმინდის, ტუნგოს, აბრეშუმის პარკის მოსავლიანობას. განუხრელად იზრდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა.

კოლმეურნეობის წამყვანია ის ბრიგადა, რომელსაც ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თ. ყუფუნია ხელმძღვანელობს. მის ბრიგადაში 10 სოციალისტური შრომის გმირი მუშაობს.

გმირთა ბრიგადამ, — ასე უწოდებენ მას კოლმეურნეები, — წელს 15 ჰექტარი სიმინდი დათესა. ბრიგადის წევრებმა ვალდებულება იკისრეს ჰექტარზე მიიღონ 70 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გასულ წელს მიღებული 29 ცენტნერისა, ხოლო 12 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფონ 8.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

კოლმეურნეობის მე-6 ბრიგადაში 8 სოციალისტური შრომის გმირი მუშაობს. ბრიგადას ხელმძღვანელობს სოციალისტური შრომის გმირი პ. ქადარია. ზუგდიდელები პ. ქადარიას ოჯახს იცნობენ, როგორც გმირთა ოჯახს. ოჯახის უფროსი პართე, მისი მეუღლე დომნიკა და შვილი მინადორა სოციალისტური შრომის გმირები არიან. გმირთა ოჯახმა შარშან 2.630 შრომადღე გამოიმუშავა და კოლმეურნეობიდან მიიღო 53.388 მანეთი ფულად, გარდა ამისა, 3.842 კილოგრამი სიმინდი და 2.630 კილოგრამი ხორბალი.

სულ ამ კოლმეურნეობაში 42 სოციალისტური შრომის გმირია, რომლებიც თავდადებით იბრძვიან მიმდინარე წლის უხვი მოსავლის მისაღებად.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

### რუსული ენის საკითხავი წიგნი

ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები მწვავედ განიცდიან ვარგისი ქრესტომათიის უქონლობას. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რუსული ენის კათედრის გამგეს დოც. ვ. კაპანაძესა და კათედრის წევრებს — უფროს მასწავლებელ ი. გრძელიძეს და ლ. ანთიძეს უცდიათ ამ ხარვეზის შევსება. აღნიშნულმა კოლექტივმა შეადგინა იდეურ-პოლიტიკურად გამართულ მასალაზე აგებული დიდტანიანი სახელმძღვანელო.

სარეცენზიო წიგნს ეპიგრაფად აქვს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მედროშის ილია ჭავჭავაძის აზრი ქართველი ერისათვის რუსული ენისა და ლიტერატურის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ.

პირველი (ზოგადი) ნაწილი იწყება საბჭოთა კავშირის ჰიმნის რუსულ-ქართული ტექსტებით. მას მოსდევს დებულებები ენის დამახასიათებელი ნიშნების შესახებ, ამოღებული ი. ბ. სტალინის შრომიდან „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, ვ. ი. ლენინის სიტყვა „ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები“, IV თავი ი. ბ. სტალინის წიგნიდან „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“ (ქართული თარგმანის თანდართვით), მისივე სიტყვა, წარმოთქმული კრემლში საბჭოთა არმიის მეთაურთა პატივსაცემად (1945 წ. 24 მაისს). აქვეა ნაწყვეტი ვ. მოლოტოვის მიერ საბჭოთა საქართველოს დელეგაციის მიღებაზე 1936 წლის 19 მარტს წარმოთქმული სიტყვიდან, ნარკვევი მ. ი. ულიანოვას მოგონებებიდან „როგორ სწავლობდა ჭაბუკი ლენინი“, აკად. პავლოვის ანდერძი, აკად. ზელინსკის მიმართვა ახალგაზრდობისადმი, მ. გორკის „როგორ ვსწავლობდი“, მაკარენკოს, გრომოვის, კოროლენკოსა და სხვათა ნაწერებიდან ამოღებული ნაწყვეტები, აგრეთვე — „ინტერნაციონალისა“ და დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნის ტექსტები.

მეორე და მესამე ნაწილებში შესულია რუს კლასიკოსთა და საბჭოთა მწერლების საუკეთესო ნაწარმოებები. ეს მასალა უცნობია ჩვენი ახალგაზრდობისათვის, ვინაიდან საშუალო სკოლაში არ გაუვლიათ და, მაშასადამე, წიგნის ხმარება უფრო სახალისოა.

მეოთხე ნაწილი შედგება ცნობილ ქართველ მწერალთა ნაწარმოებების რუსული თარგმანებისაგან. აქ წარმოდგენილია: შოთას აფორიზმები, ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის, ნინოშვილის, თანამედროვე მწერალთა ლექსები და ნაწარმოებთა ნაწყვეტები. ეს მასალა ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ენის დასაუფლებლად დამოუკიდებელ მუშაობაში. სამწუხაროდ, ზოგ შემთხვევაში თარგმანთა შერჩევა მხატვრული ღირებულების მხრივ მოიკოჭლებს.

უკანასკნელ (მეხუთე) ნაწილში მოთავსებულია საკმაო მოცულობის სტატიები ბუნების დიდ გარდამქმნელ მიჩურინზე, მის მოძღვრებაზე, ჩაიზე, ნიადაგის სტრუქტურაზე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და მათს როლზე საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობაში, სასოფლო-სამეურნეო ცხოველებზე, მევენახეობაზე და სხვ. ეს მასალა ავტორების მიერ სპეციალურ ნაწილად არის გამოცხადებული სოფლის მეურნეობის განხრის მოსწავლეთათვის. ვფიქრობთ, იგი სხვა დარგების სტუდენტებისთვისაც ინტერესს მოკლებული არ იქნება, ვინაიდან საჭიროა ისინი ამ საკითხებშიც ერკვეოდნენ.

ყოველ გვერდზე სქოლიოში მოცემულია რუსული სიტყვები გრამატიკული კატეგორიებისა და ქართული შესატყვისების აღნიშვნით. თვით ტექსტებში მოთავსებულ სიტყვებს უმრავლეს შემთხვევაში ახლავს მახვილები იმ მიზნით, რომ მკითხველი გაერკვეს რუსული ლექსიკის ნიუანსებში და დაიმკვიდროს მეხსიერებაში, თუ სად დაისვას მახვილი.

თითქმის უკლებლივ ყოველი პროზაიკული ტექსტის თუ ლექსის შემდეგ დართულია კითხვები, რომლებიც გამოდგება წერით დავალებათა შესასრულებლად ან რუსულად გაბაასებაში სავარჯიშოდ.

წიგნი ბევრს მოიგებდა, უფრო მეტი თანამიმდევრობა რომ ყოფილიყო დაცული მასალის დალაგებაში. საჭირო იყო აგრეთვე ლიტერატურული მასალის მეტი დახვეწა. მაგალითად, ნინოშვილის 3 ნაწარმოების ნაცვლად საკმარისი იყო 1 ნაწარმოები; სამაგიეროდ, შესაძლებელი გახდებოდა კლდიაშვილის, ეკლოშვილის, ლომოურის ან სხვა მწერალთა ნაწარმოებების ჩართვა. ლიტერატურული მასალა კარგად არის შერჩეული და დალაგებული, მაგრამ ძალიან მოიკოჭლებს მისი ლექსიკოლოგიური ნაწილი.

სქოლიოში ჩამოტანილ რუსულ სიტყვებს ხშირად არ მოეპოვება სწორი შესატყვისი — ქართული თარგმანი. მაგალითად, подземный ход — „მიწისქვეშა გზა“, „სასვლელის“ ნაცვლად (69); складывать слоги — „დამარცვლა“, უნდა იყოს „მარცვალთა შეერთება“ (248); распоряжаться — „განკარგულება“, „განკარგულების გაცემის“ ნაცვლად (255), загорелый — „ნამზეური“ (სათანადო ლექსიკონში ეს სიტყვა მართებულად არის თარგმნილი: „მზისაგან დამწვარი“, „გაშავებული“ და ყველაზე უმჯობესი — „მზემოკიდებული“).

ჩამოტანილია სქოლიოში არარსებული утикать, ნაცვლად ზმნისა утечь. Первоисточник (პირველწყარო) თარგმნილია „წყაროდ“ და „წყაროს სათავედ“. მათი შებრუნებითი თარგმანი მოგვცემს პირველისა — родник, ключ, источник, ხოლო მეორისა — верховье. ზოგჯერ სქოლიოში ჩატანილია და თარგმნილია ქართულად საერთოდ ცნობილი სიტყვები, ანდა ისეთი უცხოური სიტყვები, რომლებსაც ქართული შესატყვისი არა აქვთ და ყველა ენაზე უცვლელად იხმარება. სამაგიეროდ, უთარგმნელად არის დატოვებული ისეთი ძნელად გასაგები სიტყვები, როგორიც არის зубрежка (20), путаница (24), зачастую (41), дерзание (42), предостеречь (43), подмывающая мазурка (66), леденящий (72), подернулись (101), отлив (110), изголуботемный (127).

ასახსნელი სიტყვები ზოგჯერ უსისტემოდ არის ჩატანილი სქოლიოში. „добре, сынку, добре!“ ორჯერ გვხვდება „ტარას ბულბადან“ ამოღებულ ნაწყვეტში — 123-სა და 124 გვერდებზე. „добре“ ჩატანილია და თარგმნილია 124-ე გვერდზე.

ხშირია გრამატიკული კატეგორიების აღრევის შემთხვევები. მაგალითად, 45-ე გვერდზე მოცემულია ფრაზა что неясно в голове говорящего, საიდანაც სქოლიოში ჩატანილია неясно — „ბუნდოვნად“ შემასმენელი ახსნილია ზმნიზედად. „საკმაოდ“ ზმნიზედით არის თარგმნილი აგრეთვე შემასმენელი — достаточно შემდეგ ფრაზაში — многим кажется, что это достаточно. ზმნა клеветал ჩატანილია клевета-დ (51), похлебывал—прихлебывать ინფინიტივით, рассчитывая — расчет-ად (199) და სხვ.

ბევრგან არეულად არის ნახმარი ზმნის ასპექტი. Выкрикнул ზმნა ჩატანილია выкрикивать ინფინიტივით (67); задохнется ჩატანილია задыхаться ფორმით (71); упразднить-ის ინფინიტივად მოცემულია упразднять (152), колыхаться — колыхнутся და სხვ.

სინონიმებიდან ზოგჯერ შერჩეულია ყველაზე ნაკლებად მისაყენებელი შესატყვისები. მაგალითად, лосниться (160)—ბზინვა. აქ სხვა მრავალ სინონიმს შორის ყველაზე შესაფერისია „ლაპლაპი“, ვინაიდან ქუჩებზეა ლაპარაკი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კორექტურა დაუდევრად არის გაკეთებული.

ეს და სხვა ნაკლოვანებანი თავიდან აცილებული იქნებოდა და სახელმძღვანელოც უფრო მოიგებდა, ავტორები და რედაქტორები მეტი სიფხიზლითა და გულისყურით რომ მოჰკიდებოდნენ ამ სასარგებლო საქმეს. წიგნს შემდგომი გამოცემისათვის აუცილებლად ესაჭიროება ლექსიკოლოგიური განყოფილების საფუძვლიანი დამუშავება-გადახალისება.

**დოც. ა. ნეიმანი,**
**დოც. ს. ჩხენკელი.**

## შეხვედრა გამოფენაზე

მოდის ადამიანთა უწყვეტი ნაკადი. მოაქვთ თაიგულები. მაგრამ უფრო წარმტაცი თაიგულია თვით სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელსაც ასე დაუმშვენებია დედაქალაქის მკერდი.

სამხრეთ ოსეთიდან ჩამოსული ექსკურსანტებიც გაჰყვნენ ხალხის ტალღას. სხვებთან ერთად მათაც მიეჩქარებათ ნახონ გამოფენა — გამოცდილების ეს სახალხო უნივერსიტეტი. მოსკოვის ცის კაბადონზე ამაყად ამართულა მთავარი პავილიონის ოქროსფერი ვარსკვლავი.

აქ, გამოფენაზე, ამ ბედნიერ ადამიანთა შორის არის ჯავის რაიონის სოფელ ბუზალის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მწველავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნასტია მეთის ასული ჯიოევა.

რამდენიმე დღის წინ, როცა ექსკურსანტებს მატარებელი „თბილისი-მოსკოვი“ უკრაინისა და რუსეთის ვრცელ ველებზე მიაქროლებდა, ნასტია ჯიოევა დაუფარავად გამოხატავდა თავის აღტაცებასა და სიხარულს, რომ მას, უბრალო მთიელ ქალს, საშუალება ეძლევა ნახოს მოსკოვი, რომელიც ასე ესპეტაკი და შეუდარებელია მის წარმოდგენაში, რომელიც ამდენ სიმხნევეს, გამბედაობას, სიმამაცეს შთააგონებს სამშობლოს შვილებს.

გამოფენის მუშაობის განახლების დღეს, ნასტია ჯიოევა მოსკოვში ტრიბუნასთან მიიწვიეს. როცა იგი კიბეზე მორიდებით ადიოდა, თანმხლებმა ჭაბუკმა შეამჩნია მოკრძალება და უთხრა:

— გაბედულად, გაბედულად, ნასტია, ეს ხომ ჩვენი მოსკოვია!

— და ერთბაშად, — გვითხრა შემდეგ დეპუტატმა, — ვიგრძენი, რომ ვარ მშობლიურ ადამიანთა შორის, თითქოს საკუთარ ოჯახში.

ექსკურსია იწყება... რა აუწერელი სილამაზისა და შინაარსის სანახაობაა გადაშლილი ადამიანის თვალწინ. როგორ გადმოსცემ ყოველივე იმას, რაც იხილე გამოფენის დიდებულ სასახლე-პავილიონში, მართლაც ამ ზღაპრული ქალაქის ყველა კუთხეში!

გვინდა მოგითხროთ ერთ მომენტზე, ერთ შეხვედრაზე.

ვართ გამოფენის მოედანზე, სადაც საჩვენებლად გამოჰყავთ საუკეთესო პირუტყვი. ადგილობრივი დიქტორი აცხადებს, რომ თეთრ ხაზთან დგას ანა ივანეს ასული სმირნოვა, რომელსაც თან ჰყავს ძროხა „მედინკა“. ეს ძროხა ლაქტაციის პერიოდში ცხრა ათას ლიტრ რძეს იძლევა.

„მედინკა“, რომელმაც ადვილი შესაძლებელია დიქტორის სიტყვებიდან გაარჩია თავის სახელი, თავს მაღლა სწევს, მოუსვენრად არის. ანა ივანეს ასული ძროხას ეალერსება, წინ ეწევა გასასვლელისაკენ.

— ანა ივანეს ასული სმირნოვა ორგზის სოციალისტური შრომის გმირია, აქვს ლენინის ოთხი ორდენი! — შეიტყეს ექსკურსანტებმა.

რა სასიამოა ასეთ ადამიანთან შეხვედრა! თუნდაც რამდენიმე წუთით... ნასტია ჯიოევა მოიცვა დაუძლეველმა სურვილმა: უნდა შევხვდე სმირნოვას! ეს განა მარტო მისი სურვილია! ანა ივანეს ასულს კი სად ექნება იმდენი დრო, რომ მრავალთა გულისწადილი აასრულოს — ყველას შეხვდეს, ყველას ხელი ჩამოართვას.

გამალებით ფიქრობს ნასტია. თეთრი, ქათქათა „მედინკა“ კი, რომელსაც თეთრ სამოსელში გამოწყობილი სმირნოვა მიუძღვის, საცაა გავა მოედნიდან, თვალს მიეფარება.

მთიელი ქალი ერთბაშად მოსწყდა ადგილს. იგი თითქმის სირბილით მივიდა მოედნის გასასვლელთან. უყელა ანა ივანეს ასულს. ძველი ნაცნობივით მიაგება რუსმა ქალმა ნასტიას ღიმილი. მეგობრულად გაუწოდა ხელი. ისინი ასე ერთად, საუბრით წავიდნენ პირუტყვის სადგომისაკენ. ანა ივანეს ასული დაწვრილებით უყვება მთიელთა დეპუტატს თავისი „მედინკას“ ამბავს.

— მაშ დღეში ორმოც ლიტრ რძეს იძლევა „მედინკა“? — ხელახლა ეკითხება ჯიოევა სახელმოხვეჭილ მწველავს.

— ახლა მხოლოდ ორმოცს, — შენიშნავს სმირნოვა, — ჩვენთან „კარავაევოში“ „მედინკა“ უფრო მეტს იწველიდა. მოვლას არ ვაკლებ, საკვებიც მრავალფეროვანი აქვს, მაგრამ აქ თავისებური ხმაურია, ძროხა შეკრთება ხოლმე. როცა დავშორდებით, ჯავრობს.

ხელახლა შეხვედრისას სულ ადვილად შეამჩნევ, როგორ გახალისდა.

საუბარი გრძელდება. ასე თავისებურად გადასცემს გამოცდილებას ანა ივანეს ასული. მას არ სჩვევია თავი ისე დაიკავოს, თითქოს ჭკუას ასწავლის სხვებს.

— ოცდაერთი წელია ძროხების მწველავად ვმუშაობ. დამეთანხმებით, დიდი დროა, ამ ხნის მანძილზე ხომ მთელი თაობა იზრდება. და აი ძალიან ხშირად ჩემს სამუშაო უბანზე შევამჩნევ ხოლმე ახალს, ყოველი დღე ამდიდრებს ადამიანს დაკვირვებით, გამოცდილებით.

პირუტყვის სადგომთან ახლად მოთიბული ბალახით დატვირთული ავტომანქანა მოაყენეს.

— ანა ივანოვნა, აი შევასრულეთ დაპირება, — გადმოსძახა ბალახით სავსე ძარადან მზით შერუჯულმა ჭაბუკმა.



სამხრეთ ოსეთიდან გამოფენაზე ჩასული ექსკურსანტების ერთი ჯგუფი, მათ შორის ჯავის რაიონის სოფელ ბუზალის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მწველავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. მ. ჯიოევა (მარჯვნიდან მეოთხე) შეხვდა კოსტრომის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კარავაევოს“ სახელგანთქმულ მწველავს, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს ა. ი. სმირნოვას (მარცხნიდან მეორე).
სურათზე: ა. ი. სმირნოვა ექსკურსანტებს ესაუბრება თავისი მდიდარი გამოცდილების შესახებ.
ფოტო ვ. გინზბურგისა.

სმირნოვამ ბოდიში მოიხადა მოსაუბრეებთან და ავტომანქანისაკენ გაეშურა. ერთი ბღუჯა ბალახი აიღო ძარადან, დააკვირდა, დაყნოსა, მოწონების ნიშნად თავი დაიქნია. „მედინკამ“ კისერი წაიგრძელა, ხელში სწვდა მომვლელს და სამყურა გემრიელად ჩაახრამუნა.

— გულდასმით უნდა გასინჯო საკვები, რომელსაც ძროხას აძლევ, — ასეთი დასკვნა გამოიტანა სმირნოვას მოქმედებიდან ბუზალელმა ქალმა.

— ერთი შეხვედრა არ არის საკმარისი, — ეუბნება ჯიოევას რუსი ქალი, — ვიქონიოთ მიმოწერა. ასეთი თანამეგობრობა ჩემთვისაც სასარგებლო იქნება.

გმირ ქალთან შეხვედრამ ათასი ფიქრი აღუძრა ნასტიას.

— ხომ გაიგონეთ, — ამბობს დეპუტატი ჯიოევა. — ანა ივანოვნამ რამდენი მოწინავე მწველავი დაასახელა თავისი რაიონიდან, თავისი ოლქიდან. ჩემს გამოცდილებას მათთან მჭიდრო ურთიერთობით სრულვყოფ. კარგი ნათესავებივით იცნობს სმირნოვა მახლობელი სოფლების მოწინავე მწველავებს. ჩვენთან, ჯავაში, კი ასეთი რამე არ კეთდება. ზოგადად თუ ვიტყვით: ჩვენთანაც არიან ცალკეული მწველავები, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ არავინ იწუხებს თავს გაავრცელოს, სხვებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მათი გამოცდილება.

ნასტია ჯიოევამ განაცხადა, რომ იგი ამ და მთელ რიგ სხვა საკითხებზე აუცილებლად მივა პარტიის ჯავის რაიკომის პირველ მდივანთან, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან. გამოფენის დათვალიერების შემდეგ მას არ შეუძლია დამშვიდდეს. არც თავს მივცემ უფლებას შთაბეჭდილებებით გამოწვეული ფიქრები უკვალოდ, უსაქმოდ ჩავკლა.

სმირნოვა ნანობდა, რომ ძროხა მხოლოდ 40 (!) ლიტრ რძეს იძლევაო. ბუზალაში კი ძროხები 3-4 ლიტრს იწველიან. შეადარეთ ეს ციფრები და გააკეთეთ დასკვნა!

დეპუტატი ქალი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციისათვის ჯავაში ცოტა რამ კეთდება. თუ ელექტროენერგია ფერმის ცხოვრებაში შეიჭრება, იგი გარდაქმნას მოახდენს, მწველავებს მეტი საშუალება ექნებათ იბრძოლონ მაღალი მაჩვენებლებისათვის.

თავის გულისნადებს გამოთქვამს ბუზალელი მწველავი: წინასწარვე ვფიქრობდი, რომ გამოფენაზე ბევრს საინტერესოს ვნახავდი. ყოველ მოლოდინს გადააჭარბა იმან, რაც საკუთარი თვალით ვნახე. უხერხულობას განვიცდიდი გადაჭარბებული გაოცებისაგან. ძალიან საჭიროა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ადამიანებმა იცოდნენ ჩვენი დიადი ქვეყნის სოციალისტური სოფლის მეურნეობის საუკეთესო ადამიანთა შრომითი გმირობის ამბები. რატომ არ უნდა მოდიოდეს, მაგალითად, ლექტორი, თუნდაც მომხსენებელი, რაიკომის ან რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკი მთის საძოვარზე მგზნებარე, მხურვალე სიტყვით იმ უბრალო ადამიანების შესახებ, რომელთათვის ასე დამახასიათებელია თავსნობა, ინიციატივა, რომლებიც კაფავენ გზას ახალი რეკორდებისაკენ. დიდია მაგალითის ძალა. და რამდენი მაგალითი ვნახე გამოფენაზე! ეს ამბები, რომლებიც ადამიანს უმაღლებს პასუხისმგებლობის გრძნობას, ზრდის ახალი თვისებების ყლორტს, უნდა მივიდეს ყველა სოფელში, ყველა ოჯახში, უნდა შეიჭრას ყველა მეცხოველის გულში...

ჯიოევას სიტყვებში გამოიხატებოდა ის დიდი ზემოქმედება, რომელსაც გამოფენა ახდენს დამთვალიერებელზე.

და გჯერა — ფიქრები, სურვილები, გეგმები, რომლებიც იბადება გამოფენის მშვენიერ წიაღში, ადგილებზე იქცევა ცოცხალ, ნოვატორულ საქმეებად.

**ვ. გელაშვილი,**
გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორი.

# იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაცია ლენინგრადში

ლენინგრადი, 9 აგვისტო. (საქდესი). მეორე დღეა, რაც აქ იმყოფება იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დელეგაცია. დღეს დილით სტუმრებმა ინახულეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიული ძეგლი — სმოლნი. დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობა, რომელმაც მიიღო დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ, მათ დიდი ყურადღებით მოისმინეს ნაამბობი ყრილობის მუშაობის, დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის გამოსვლების შესახებ.

ვ. ი. ლენინის ოთახები სმოლნში. იუგოსლავი პარლამენტარები ათვალიერებენ იმ გაზეთების ეგზემპლარებს, რომლებშიც გამოქვეყნდა ლენინის ნაშრომები, ფოტოსურათებს, ილიჩის ნაწარმოებთა სხვადასხვა გამოცემას. სადად მოწყობილი კაბინეტი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს დელეგაციის წევრებზე.

ტოვებს რა სმოლნის, იუგოსლავიის დელეგაცია ითხოვს შთაბეჭდილებათა წიგნს. ჩინური იეროგლიფების, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იაპონურ, ესპანურ, კორეულ და მრავალ სხვა ენაზე დაწერილი სიტყვების გვერდით, რომლებიც გამოხატავენ დიდ სიყვარულს ლენინისადმი, ჩნდება ჩანაწერი სერბიულ ენაზე: „დიდი ლენინის ნაშრომებით, რომლებიც მან დაწერა აქ, სმოლნში, იუგოსლავიის კომუნისტები სწავლობდნენ, როგორ უნდა ბრძოლა. მადლობა ყველაფრისათვის დიდ ლენინს!“.

პეტროდვორეცში მოგზაურობის შემდეგ დელეგაციის წევრებმა ინახულეს სტალინის სახელობის ლითონის ქარხანა. ქარხნის მთავარმა ინჟინერმა სტალინური პრემიის ლაურეატმა მ. ბუშუევმა, რომელიც დელეგაციას შეხვდა, გამოთქვა რწმენა, რომ დელეგაციის ჩამოსვლა სსრ კავშირში ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას. მან სკუპშჩინის დეპუტატებს გააცნო ქარხნის ისტორია, უამბო კოლექტივის მუშაობაზე, კონსტრუქტორთა საქმიანობაზე, რომლებიც ამჟამად ზემძლავრი ტურბინების დაპროექტებაზე მუშაობენ. დელეგაციის წევრებს აინტერესებთ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა ქარხანაში შრომისა და ხელფასის ორგანიზაციასთან, სპეციალისტთა სწავლებისა და მომზადების სისტემასთან, აინტერესებთ მუშების ცხოვრების მატერიალური პირობები. ყველა ამ კითხვაზე ისინი ამომწურავ პასუხს იღებენ.

დელეგაციამ დაათვალიერა ორთქლტურბინების საამქრო. სტუმრები ავიდნენ გამოსაცდელ სტენდზე, შემდეგ ნახეს უბნები, სადაც მიმდინარეობს ორთქლის ტურბინების კვანძების აწყობა, ესაუბრნენ მუშებს. მეგობრული ტაშით შეხვდა დელეგაციის წევრებს ჰიდროტურბინების საამქროს კოლექტივი. გაიმართა საუბრები. ტურბინების ჩქაროსნული აწყობის წარჩინებულმა ოსტატმა — ზეინკალთა ბრიგადირმა ვ. ლემისოვმა დელეგაციის წევრებს სთხოვა სალამი გადასცენ იუგოსლავიის ხალხს ლენინგრადელი ტურბინმშენებლებისაგან. ჩამომავლობით მუშამ უფროსმა ოსტატმა გ. ბუგროვმა იუგოსლავიის მუშები სტუმრად მოიწვია.

გამოეთხოვენ რა ტურბინმშენებლებს, იუგოსლავიის დელეგაციის წევრებმა გულთბილი მადლობა გადაუხადეს მათ სტუმართმოყვარეობისათვის, გულითადი მიღებისათვის.

დღეს იუგოსლავიის დელეგაციამ ინახულა აგრეთვე სახელმწიფო ერმიტაჟი. რამდენიმე საათს ათვალიერებდნენ სტუმრები მუზეუმის კოლექციებს.

დელეგაციას ახლდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. მ. საფრონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი თანამშრომელი ი. ა. კოროლიოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის თანაშემწე კ. ა. კოჩეტკოვი, აგრეთვე იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში დ. ვიდიჩი და საელჩოს მრჩეველი ფ. ბაბიჩი.

საღამოს ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ი. სმირნოვმა დარბაზობა გამართა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაციის ლენინგრადში ყოფნის გამო.

გამოვიდა რა სიტყვით, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ი. სმირნოვმა განაცხადა: — საბჭოთა ადამიანებს და იუგოსლავიის ხალხებს ძველთაგანვე აკავშირებს ძმური მეგობრობა. თქვენი ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში და ჩვენს ქალაქში არის მოვლენა, რომელიც დიდ როლს შეასრულებს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საქმეში, გამოცდილების ურთიერთგაზიარების საქმეში. გისურვებთ თქვენ, საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დეპუტატებს, წარმატებებს თქვენს მოღვაწეობაში იუგოსლავი ხალხების საკეთილდღეოდ.

დარბაზობის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა ვლადიმირ ბაკარიჩმა. მან თქვა:

— ჩვენ, იუგოსლავებს ლენინგრადთან გვაკავშირებს განსაკუთრებული მოგონებანი. ჩვენ ვსწავლობდით ლენინის შრომებით, და აქ ვნახეთ ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია მის ცხოვრებასა და მუშაობასთან. ამ ადგილებს ჩვენ ვიცნობთ. ლენინგრადში თავს ვგრძნობთ არა მარტო ისე, როგორც შინ, არამედ აგრეთვე როგორც ჩვენი ახალგაზრდობის დღეებში. შეიძლება სწორედ ამიტომ, ჩვენ ასე ბევრი ყურადღება დავუთმეთ ამ ქალაქის ისტორიულ ძეგლებს.

ლენინგრადის მიწაზე არასოდეს არ დაუდგამს ფეხი მტერს, — განაგრძო ბაკარიჩმა, — სწორედ ამით არის იგი ცნობილი იუგოსლავიაში. როდესაც ჩვენ გვიხდებოდა ძნელი გადაწყვეტილების მიღება, ხშირად შთაგონებას გვაძლევდა ლენინგრადის გამოცდილება. კმაყოფილებით ვხედავთ, რომ ლენინგრადში თითქმის მთლიანად აღმოფხვრილია ომის კვალი. ომის გმირები აღდგენის გმირებიც იყვნენ, ხოლო ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იუგოსლავიაში.

ჩვენ აქ თავს ვგრძნობთ როგორც შინ. ამას უნდა მივუმატოთ კიდევ ის გულთბილი, გულითადი მიღება, რომელიც ჩვენ ლენინგრადში გაგვიწიეს. ჩვენი სახით საბჭოთა ადამიანები იპოვიან ერთგულ მეგობრებს.

ძალიან სასიამოვნო იყო მოგვესმინა თქვენი სურვილი, რომ გაუმჯობესდეს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობა, — განაცხადა დასასრულ ბაკარიჩმა. — მშვიდობისათვის, კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში იუგოსლავია მტკიცედ იდგომება. რაც შეეხება ჩვენი ხალხების ურთიერთობას, ბელგრადის მოლაპარაკებამ გზა გაუხსნა ამ ურთიერთობის გაუმჯობესებას.

ერთხელ კიდევ მადლობას მოგახსენებთ გულთბილი მიღებისათვის.

დარბაზობამ განსაკუთრებული გულითადობის, მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

# ამერიკის შეერთებული შტატების სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია საბჭოთა კავშირში

სტალინგრადი, 9 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია ორ ჯგუფად გაიყო და ეცნობოდა ქალაქ სტალინგრადსა და სტალინგრადის ოლქს.

პირველი ჯგუფი დელეგაციის ხელმძღვანელის უილიამ ლამბერტის მეთაურობით ვოლგაზე კატერით გაემგზავრა სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასათვალიერებლად. მშენებლობის უფროსმა ი. გავესკიმ სტუმრებს უამბო მომავალი ჰიდროელექტროსადგურის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის, ახალი ქალაქის ვოლჟსკის მშენებლობის შესახებ. დელეგაციის წევრებმა ამომწურავი პასუხი მიიღეს ყველა კითხვაზე, რომელიც მათ აინტერესებდათ.

გაუზიარეს რა შთაბეჭდილებანი მშენებლობის ხელმძღვანელებსა და პრესის წარმომადგენლებს, სტუმრებმა განაცხადეს, რომ ისინი გაოცებული არიან მშენებლობის უდიდესი გაქანებით და მომავალი ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრით. მათ აგრეთვე ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ჰიდროელექტროსადგურის აგების შედეგად საუცხოო შესაძლებლობა შეიქმნება მრავალი სასოფლო-სამეურნეო რაიონის ხელოვნური მორწყვისათვის.

ფერმერმა ოლსენმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ სტალინგრადის ჰესის მშენებლობისა და ქალაქ სტალინგრადის დათვალიერებამ ერთხელ კიდევ დაარწმუნა ამერიკის დელეგაციის წევრები იმაში, რომ საბჭოთა კავშირი მშვიდობიან შემოქმედებით შრომას ეწევა.

ამ ჯგუფის დელეგატთა ნაწილმა დღეს დაათვალიერა აგრეთვე სტალინგრადის რძის ქარხანა.

დელეგაციის მეორე ჯგუფი, რომელსაც ჰერბერტ პაიკი მეთაურობს, საკუთარი არჩევანით გაემგზავრა კრასნოარმეისკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ეს მსხვილი მრავალდარგოვანი მეურნეობა ოლქის ყველაზე გვალვიან ზონაში მდებარეობს და კოლმეურნეებს ყოველწლიურად უხდებათ დაძაბული ბრძოლა ტენისათვის, რათა დამაკმაყოფილებელი მოსავალი მიიღონ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ აგრონომმა ი. კობლევმა დელეგაციის წევრებს უამბო, რომ სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ომის შემდეგ მეორედ დაიბადა. კოლმეურნეობის ყველა კაპიტალური ნაგებობა ხელახლა აშენდა. მემინდვრეობისაგან, მეცხოველეობისაგან, მებოსტნეობისა და მებაღჩეობისაგან წელს არტელი მიიღებს სულ ცოტა სამ მილიონ მანეთ შემოსავალს.

დელეგაციის წევრები დაწვრილებით დაინტერესდნენ იმით, თუ როგორ აღწევენ კოლმეურნეები გვალვიანი ჰავის პირობებში თავიანთი მეურნეობის ყველა დარგის პროდუქტიულობის გადიდებას. კობლევმა უპასუხა, რომ მათ მნიშვნელოვანწილად ეხმარება წყლის გამოყენება ვოლგა-დონის არხიდან და თავიანთი გუბურებიდან, აგრეთვე ნიადაგის მელიორაცია და გვალვაგამძლე ჯიშების კულტურების დანერგვა.

აიოვას შტატის ფერმერებმა ჩარლზ ჰერსტმა და ჰერბერტ პაიკმა ყურადღება მიაქციეს კოლმეურნეობაში სიმინდის მცირე მოსავალს, რომელიც წელს პირველად მოჰყავთ კოლმეურნეებს.

— თუ ჰავისა და ნიადაგის მძიმე პირობების გამო თქვენში სიმინდი არ ხარობს, — თქვა ჰერსტმა, — რატომ არ მოჰკიდებთ ხელს ისეთ გვალვაგამძლე და უხვმოსავლიან კულტურას, როგორიც არის სორგო, რომელიც ასეთ პირობებში ამერიკის შეერთებულ შტატებში გაცილებით მეტ მარცვალსა და მწვანე მასას იძლევა, ვიდრე სიმინდი.

ჰერსტმა კოლმეურნეებს ურჩია სორგოს ადგილობრივი ჯიშები, რომლებიც მის გვალვიან შტატში ინერგება სიმინდის ნაცვლად. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ კოლმეურნეები დანერგავენ სორგოსა და სუდანურას, თუ კი ამით სარგებლობას ნახავენ.

დელეგაციის წევრები და კოლმეურნეები აზრებს უზიარებდნენ და შეკითხვებს აძლევდნენ ერთმანეთს. გამგზავრების წინ სტუმრებმა ფოტოსურათი გადაიღეს კოლმეურნეებთან ერთად.

სტალინგრადში დაბრუნებისას დელეგაციის ჯგუფი იყო საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობა „გორნაია პოლიანაში“, სადაც დაინტერესდა მეურნეობის მდგომარეობით. საბჭოთა მეურნეობის მუშებმა სტუმრებს საჩუქრად მიართვეს სტალინგრადული საზამთროები.

დღისით საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ს. პანკინმა დარბაზობა გამართა დელეგაციის პატივსაცემად, რის შემდეგაც სტუმრები კუიბიშევს გაფრინდნენ.

კუიბიშევი, 9 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია დღეს კუიბიშევში ჩამოვიდა. აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ ქალაქისა და ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები. დელეგაციის წევრებს მიესალმა საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მელნიკოვი.

# საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში

მინეაპოლისი, 9 აგვისტო. (საქდესი). გუშინ საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია კვლავ ეცნობოდა მინესოტის შტატის სოფლის მეურნეობას.

დილით დელეგაცია იყო შტატის უდიდეს საწარმოში — „მინეაპოლის მოლინ კომპანის“ ქარხანაში, რომელიც უშვებს სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. დელეგატებმა დაათვალიერეს ქარხნის ძირითადი საამქროები და გაეცნენ უახლეს სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. შემდეგ მათ უჩვენეს ფილმი ამერიკის შეერთებულ შტატებში სასოფლო-სამეურნეო პროცესების მექანიზაციის შესახებ.

საბჭოთა დელეგატებთან საუბარში ფირმის ხელმძღვანელებმა სურვილი გამოთქვეს, რომ რაც შეიძლება მალე დამყარდეს ნორმალური სავაჭრო ურთიერთობა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. „ურთიერთვაჭრობა, — განაცხადა ფირმის წარმომადგენელმა მორგანმა, — ჩვენს ხალხებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის გზაა“.

დღეს დელეგაცია განაგრძობს მინესოტის შტატში მოგზაურობას.

# დარბაზობა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის თავმჯდომარესთან

ჟენევა, 9 აგვისტო. (საქდესი). გუშინ საღამოს ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის თავმჯდომარემ ბაბამ დარბაზობა გამართა კონფერენციის მონაწილე ქვეყნების დელეგაციათა პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ აგრეთვე შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტი მ. პტიპიერი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი დ. ჰამარშელდი, კონფერენციის გენერალური მდივანი უ. უიტმენი.

# ეიზენჰაუერის წერილი ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციისადმი

ჟენევა, 9 აგვისტო. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის მონაწილეებს გაუგზავნა წერილი, რომლითაც მიესალმება და წარმატებას უსურვებს მათ.

ეიზენჰაუერი აღნიშნავს, რომ კონფერენცია ხელსაყრელ პირობებში იხსნება. „დღემდე, — ნათქვამია წერილში, — არასოდეს არ ყოფილა ისეთი მასშტაბისა და მნიშვნელობის მეცნიერული კრება, რომელსაც ასეთი საყოველთაო ინტერესი გამოეწვიოს. აქ წარმოდგენილი არიან მსოფლიოს ხალხები. არის დიდი შესაძლებლობა, რომ აღვადგინოთ წინანდელი თავისუფალი მეცნიერული კავშირურთიერთობა, რომელიც ესოდენ მრავალი წლის მანძილზე დარღვეული იყო“.

ეიზენჰაუერმა აღნიშნა: ამერიკის შეერთებული შტატები იმის მომხრე არიან, რომ იყოს საერთაშორისო თანამშრომლობა ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების დარგში და რომ ატომის ენერგიის შესახებ კანონში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო 1954 წელს, „აშკარად არის ნათქვამი, რომ ჩვენ ვღიარებთ ჩვენს მოვალეობას — თანამშრომლობის სულისკვეთებით გავუზიაროთ სხვებს ჩვენი ცოდნა მშვიდობიანი ატომური ტექნიკის შესახებ“.

წერილის დასასრულს პრეზიდენტი რწმენას გამოთქვამს, რომ ატომური მეცნიერება „შეიძლება ვაიძულოთ ხელი შეუწყოს ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებას“.

# ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენცია

ჟენევა, 9 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის მონაწილენი განაგრძობდნენ მუშაობას პლენარულ სხდომაზე. ისინი იხილავდნენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ენერგეტიკულ ატომურ დანადგართა და, კერძოდ, ატომურ ელექტროსადგურთა შექმნასთან, აგრეთვე ამ მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების პერსპექტივებს.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს საბჭოთა კავშირის მეცნიერთა დ. ბლოხინცევისა და ნ. ნიკოლაევის მოხსენება „სსრ კავშირის პირველი სამრეწველო ატომური ელექტროსადგური და ატომის ენერგეტიკის განვითარების გზები“.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1954 წლის 27 ივნისს სსრ კავშირში ამუშავდა 5 ათასი კილოვატსაათი სიმძლავრის პირველი სამრეწველო ატომური ელექტროსადგური.

სსრ კავშირის მთავრობამ, ნათქვამია მოხსენებაში, რომელიც აღიარებს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დიდ მნიშვნელობას და ცდილობს ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას ამ დარგში, გადაწყვიტა წარუდგინოს კონფერენციას მოხსენება სსრ კავშირის ამ პირველი სამრეწველო ელექტროსადგურისა და მისი მუშაობის შესახებ.

პროფესორ დ. ბლოხინცევის მოხსენება შეიცავდა სსრ კავშირის ატომური ელექტროსადგურის აგრეგატების ძირითად დახასიათებას და მისი ექსპლოატაციის ერთი წლის გამოცდილების ანალიზს.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ არის მოწყობილი საბჭოთა სამრეწველო ატომური ელექტროსადგური, დაასურათა მისი ფიზიკური თავისებურებანი და ექსპლოატაციის პირობები.

ანალიზი გაუკეთა რა ატომური ელექტროსადგურის ექსპლოატაციის შედეგებს მისი ამუშავების მომენტიდან, დ. ბლოხინცევმა გააკეთა მთელი რიგი დასკვნები.

სადგურის მუშაობის ერთი წლის გამოცდილების საერთო დასკვნის სახით, თქვა მან, შეიძლება აღინიშნოს, რომ ატომური ელექტროსადგური, რომლის ენერგიის წყაროა აღწერილის მსგავსი ატომური რეაქტორი, მეტად საიმედოდ და მტკიცედ იმუშავებს.

პროფესორმა დ. ბლოხინცევმა განაცხადა, რომ სსრ კავშირში ამჟამად აპროექტებენ სხვადასხვა ტიპის 50-100 ათასი კილოვატი და მეტი სიმძლავრის ატომურ ელექტროსადგურებს და, დაიმოწმა რა სსრ კავშირში მოქმედი ატომური ელექტროსადგურის გამოცდილება, ცხადყო დიდი ატომური ელექტროსადგურების უპირატესობა სხვა ელექტროსადგურების წინაშე. დაეყრდნო რა ეკონომიურ გაანგარიშებებს, მან აღნიშნა, რომ ასეთ სადგურებზე შეგვიძლია გამოვიმუშაოთ ელექტროენერგია, რომლის ერთი კილოვატ საათის ღირებულება იქნება 10-20 კაპიკი.

დასასრულ პროფესორმა დ. ბლოხინცევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეცნიერთა საერთაშორისო თანამშრომლობა მეტად კეთილსასურველ გავლენას მოახდენს მრეწველობის ახალი დარგის — ატომური ენერგეტიკის განვითარებაზე.

დ. ბლოხინცევის მოხსენების გამო სხდომაზე გაიმართა გაცხოველებული დისკუსია, რომლის დროს საბჭოთა მეცნიერმა პასუხი გასცა კანადის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჰოლანდიის, ინგლისის, ინდოეთის, არგენტინის დელეგატთა მთელ რიგ კითხვებზე.

ილინოისის შტატის (ამერიკის შეერთებული შტატები) არგონის ეროვნული ლაბორატორიის დირექტორმა უ. ზინმა კონფერენციას წარუდგინა ამერიკელ მეცნიერთა ჯგუფის მოხსენება, რომელშიც მოცემულია 5-10 ათასი კილოვატ საათი სიმძლავრის მდუღარეწყლიანი ექსპერიმენტული ენერგეტიკული რეაქტორის კონსტრუქციისა და მუშაობის აღწერა.

ინგლისელ მეცნიერთა დ. ჰილისა და ს. ჯოსლინის მოხსენებაში ლაპარაკია ინგლისის კაპიტალდაბანდებებზე ატომის ენერგიის წარმოებაში, მოყვანილია ცნობები იმ სახსრების შესახებ, რომლებიც ინგლისმა გაიღო ჰარუელში მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოების შესასრულებლად, განხილულია იმ კაპიტალდაბანდებათა საკითხი, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ დაიწყოს დიდ ბრიტანეთში ატომის ენერგიის განვითარების პროგრამის განხორციელება.

ამერიკის შეერთებული შტატების ატომის ენერგიის კომისიის წევრი დევისი თავის მოხსენებაში შეეხო იმ კაპიტალდაბანდებათა საკითხს, რომლებიც საჭიროა ატომის ენერგიით მომუშავე ელექტროსადგურების მშენებლობისათვის. დევისის ვარაუდით, ინვესტიციური ხარჯები ელექტროსადგურის დაპროექტებული სიმძლავრის ერთ კილოვატზე შეადგენს 250-მდე დოლარს.

ჟენევა, 9 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). გუშინ დღის სხდომაზე კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს მთელი რიგი მოხსენებანი თემაზე „მსოფლიოს მოთხოვნილება ენერგეტიკის რესურსებზე“.

ჟენევა, 9 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ). დღეს ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის დღის პლენარულ სხდომაზე განიხილავდნენ შემდეგ საკითხებს: ატომგულის ენერგეტიკის ეკონომიკა, თორიუმის როლი, იურიდიული და ადმინისტრაციული პრობლემები.

პირველ საკითხზე — „ატომგულის ენერგეტიკის ეკონომიკა“—მოხსენება გააკეთეს ლეინმა (ამერიკის შეერთებული შტატები) და ჯუკესმა (ინგლისი).

ლეინის მოხსენება შეიცავდა ატომგულის დიდი ძალოვანი სადგურებისაგან მიღებული ენერგიის ნავარაუდევი ღირებულების გაანგარიშების მიმოხილვას. იგი შეეხო კერძოდ, ატომურ ელექტროსადგურთა ატომგულის სათბობის ღირებულებას და ასეთი ელექტროსადგურების სხვა საექსპლოატაციო ხარჯებს.

ჯუკესის მოხსენება მიეძღვნა იმ პირველ ატომურ ელექტროსადგურთა ელექტროენერგიის შესაძლო ღირებულების შეფასებას, რომელთა აგება განზრახულია ინგლისში.

თორიუმის როლის შესახებ მოხსენება გააკეთა ინგლისელმა მეცნიერმა დენუორტმა. მან ანალიზი გაუკეთა ატომგულის ენერგეტიკაში თორიუმის გამოყენების მეთოდებს და აღნიშნა თორიუმის გამოყენების ზოგიერთი დადებითი მხარე.

ატომგულის ენერგეტიკის იურიდიულ და ადმინისტრაციულ პრობლემებს მიეძღვნა იაპონელი მეცნიერის კ. სუძუეს, ინგლისელი მეცნიერის უ. ბინქსის, ამერიკელი მეცნიერის ლ. ტეილორის მოხსენებანი, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის საკითხთა მსოფლიო ორგანიზაციის მოხსენება.

ინგლისელი მეცნიერი ბინქსი შეეხო წარმოებაში დასაქმებული მუშების რადიაციისაგან დაცვისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პრობლემას. მან აღნიშნა, რომ ამ საკითხების გადაჭრაში მთავარი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სახელმწიფოს.

ბინქსმა აღნიშნა, რომ რადიაციისაგან დაცვის უზრუნველყოფაში დიდი როლი უნდა შეასრულონ ისეთმა საერთაშორისო ორგანოებმა, როგორიც არის რადიაციისაგან დაცვის საერთაშორისო კომისია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და საერთაშორისო წითელი ჯვარი.

ჯანმრთელობის დაცვის საკითხთა მსოფლიო ორგანიზაციის მოხსენება აღნიშნავს, რომ ურანის გახლეჩის აღმოჩენის შემდეგ გამოსხივებისაგან დაცვა სამრეწველო პირობებში ჯანმრთელობის დაცვის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა გახდა. ატომის ენერგიის მსოფლიო გამოყენების პერსპექტივასთან დაკავშირებით გამოსხივებისაგან დაცვის პრობლემის გადაჭრა უნდა დაეკისროს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს.

მოხსენება აღნიშნავს ამოცანებს, რომლებიც ამასთან დაკავშირებით დგას ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების წინაშე, და, კერძოდ, მოითხოვს, რომ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ შემდეგი ღონისძიებანი:

1. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების პერსონალის შესაბამისი სწავლება.
2. სწორი და კონკრეტული ინფორმაციის გავრცელება ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე.
3. გამოსხივების მზარდ ფონთან დაკავშირებით მცირე სიმძლავრის გამოსხივების ბიოლოგიური ეფექტების მეცნიერული კვლევა მსოფლიო მასშტაბით.
4. გამოსხივების გავლენით წარმოშობილი გენეტიკური ეფექტების მეცნიერული კვლევა მსოფლიო მასშტაბით.

ტეილორის მოხსენება მიეძღვნა რადიაქტიური გამოსხივებისაგან დაცვის საკანონმდებლო ღონისძიებათა იმ სისტემის აღწერას, რომელიც შეერთებულ შტატებში ხორციელდება.

# ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეხუთე მსოფლიო ფესტივალზე

ვარშავა, 9 აგვისტო. (საქდესი). აქ დამთავრდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეხუთე მსოფლიო ფესტივალის პიანისტთა კონკურსი.

პირველი ორი პრემია მიენიჭა ს. დორენსკის (სსრ კავშირი) და ნ. ევროვს (ბულგარეთი). მეორე თანაბარმნიშვნელოვანი პრემიები მიიღეს ი. აირაპეტიანმა (სსრ კავშირი), ა. ლოშონჩიმ და ფ. რადოშმა (ორივე უნგრელია), კ. კრისტესკუმ (რუმინეთი).

მესამე პრემიები მიიღეს ბულგარეთის, პოლონეთის, საფრანგეთის, ჩინეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა.

გამოცხადდა აგრეთვე ხალხური სიმღერის შემსრულებელთა კონკურსის შედეგები. პირველი ხარისხის ცხრა პრემია გაუნაწილდება თექვსმეტ კაცს, რადგან კონკურსზე გარდა სოლო ნომრებისა შესრულებულ იქნა დუეტები, ტრიო და კვარტეტები. პირველი პრემიებით დაჯილდოებულთა შორის არიან ო. ჯუმბაევი (სსრ კავშირი), ნ. გუდორი (ინდოეთი), კ. კოტოკი (სსრ კავშირი), ფან იუ-ლიანი (ჩინეთი), რ. ნაჩალნიჩკა და მ. მიხოვა (ბულგარეთი), ვ. ტრეტიაკოვა, ტ. პოლიცუკი და ნ. პავლენკო (სსრ კავშირი) და სხვ.

# ინგლისის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია საქართველოში

საქართველოში ერთ კვირას სტუმრად იყო სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ინგლისის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს კემ ჯეიმს ალანი.

დელეგაციის წევრები იყვნენ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, თბილისის „ქართული ფილმის“ კინოსტუდიაში“, თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანაში, დაათვალიერეს ქალაქი. ისინი გაემგზავრნენ ქალაქ რუსთავში, სადაც დაინტერესდნენ ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშაობით, ეწვივნენ რკინიგზელთა შვილების პიონერბანაკს კურორტ წყნეთში. სტუმრებმა ქალაქ მცხეთაში დაათვალიერეს საქართველოს ძველი მატერიალური კულტურის ძეგლი სვეტიცხოველი.

დელეგაციის მეთაურმა კემ ჯეიმს ალანმა, რომელიც თბილისში ყოფილა 1937 წელს, განაცხადა, რომ ცვლილებანი, რომლებიც საქართველოს დედაქალაქში განვლილი წლების მანძილზე მომხდარა, დიდ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

— ქალაქი, თქვა მან, — კიდევ უფრო გალამაზებულა, კეთილმოწყობილი გამხდარა. ახალი შესანიშნავი სახლები, რომლებიც მის ქუჩებსა და მოედნებზე აუგიათ, მოწმობენ თუ რა დიდად ზრუნავენ ადამიანისათვის საბჭოთა ქვეყანაში.

ინგლისის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია თბილისიდან გაემგზავრა აფხაზეთში. აქ სტუმრები გაეცნენ სოხუმის ღირსშესანიშნაობებს, გაგრაში დაათვალიერეს ჯანმრთელობის კერები, იყვნენ გაგრის რაიონის სოფელ ხეივნის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ისინი გაემგზავრნენ აგრეთვე რიწის ტბაზე.

სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ინგლისის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია 9 აგვისტოს გაგრიდან მოსკოვში გაემგზავრა. (საქდესი).

# სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ კლასი

კუიბიშევი, 9 აგვისტო. აქ მატჩში სსრ კავშირის პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ გუნდები. შეხვედრა მოიგეს ლოკომოტიველებმა ანგარიშით 2:1.

მოსკოვი, 10 აგვისტო. დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე საკავშირო პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლისა და სტალინოს „შახტიორის“ ფეხბურთელთა გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით — 4 : 0.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.


**ნახეთ**

**თბილისის კინოთეატრებისა და კლუბების ეკრანებზე ახალი ფერადი მხატვრული ფილმი**

**„აჩრდილები მწვერვალებს ტოვებენ“**

სცენარი ე. კარამიანისა და გ. კოლტუნოვისა, დადგმა ს. კევორკოვისა და ე. კარამიანისა, მთავარი ოპერატორი ი. დილდარიანი, რეჟისორი გ. ბალასანიანი, მხატვრები: ს. არუტჩიანი და ვ. პოდპომოგოვი, კომპოზიტორი ა. არუთინიანი, ხმის ოპერატორი ი. გრიგორიანი, ოპერატორი გ. ეგიაზარიანი.

კომბინირებული გადაღება:

მხატვრები ვ. კოროლევი და გ. არაქელიანი, ოპერატორი ა. პასტუხოვი.

**როლებში მსახიობები:** ს. სოსიანი, ვ. იუტუჯიანი, ა. კარაპეტიანი, გ. ნერსესიანი, ვ. ფაფაზიანი, დ. მალიანი, ლ. კმიტი, ვ. ტიაგუშევი, ა. ფაიტი, გ. იაკოვლევი, ო. გულაზიანი, ვ. ბაგრატუნი, ა. პინტუსი, ვ. დანელიანი.

ერევნის კინოსტუდიის ნაწარმოები 1955 წ.

**უსინათლო ბავშვთა მშობლების საყურადღებოდ**

უსინათლო ბავშვთათვის თბილისში არსებობს რვაკლასიანი სკოლა-ინტერნატი. სწავლის დამთავრებამდე ბავშვები აქ სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე იმყოფებიან, კვება ეძლევათ დღეში ოთხჯერ. სკოლა დაკომპლექტებულია ტიფლოპედაგოგიური გამოცდილების მქონე მასწავლებლებითა და აღმზრდელებით. სწავლა სკოლაში ქართულ ენაზეა. არასრული საშუალო სკოლის კურსის გავლასთან ერთად ბავშვები ეუფლებიან ცალკეულ პროფესიებს. კურსდამთავრებულები, დირექციის დახმარებით, სურვილისამებრ აგრძელებენ სწავლას საშუალო სკოლებში ან იწყებენ მუშაობას საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების წარმოებებში. შესაფერისი ასაკის უსინათლო ბავშვები ჩაირიცხებიან როგორც პირველ კლასში, ისე სკოლის სხვა კლასებშიც იმის მიხედვით, თუ რვაწლიანი სკოლის რომელი კლასიდან არიან გამოსულნი.

საჭიროა შემდეგი საბუთები: 1) დაბადების მოწმობა, 2) ცნობა მხედველობის დაკარგვის შესახებ, 3) ცნობა იმის შესახებ, თუ რომელი სკოლის, რომელი კლასი დაამთავრა. 4) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

მშობლებმა ბავშვები სკოლაში ჩასარიცხავად უნდა მოიყვანონ აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში.

სკოლის მისამართი: თბილისი, 26 კომისრის რაიონი, გუთნის ქუჩა № 6, უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატი.

**თბილისის ავტოსარემონტო ქარხანას ესაჭიროება**

მუდმივ სამუშაოზე დამხმარე მუშები.

პირობების გასაგებად მიმართეთ შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, ლენინის რაიონი, მექანიზაციის ქ. № 1, კადრების განყოფილება, ტელეფონი № 3-00-60, ტრამვაი №№ 6, 12.

**ყურადღება!**

სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები აწარმოებენ სიცოცხლის ინდივიდუალურ დაზღვევას.

**სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ერთი ან რამდენიმე სახეობის დაზღვევაზე სხვადასხვა ვადით და სხვადასხვა თანხით.**

დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად და დაწვრილებითი პირობებისათვის მიმართეთ სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციას ან დაზღვევის აგენტს.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო საქართველოს სს რესპუბლიკაში.


მეუღლე მარიამ, შვილი ნანული, დები ნადია, თინა ოჯახებით იუწყებიან

ოლიფანტე ივანეს-ძე ხარაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-VIII, 8 ს. გამოსვენება 14-VIII, 3 ს. ვაჟა-ფშაველას ქ. № 26.

მეუღლე ბაბილო, შვილები უშანგი, ქეთო, ელენე, მარგარიტა, თინა ოჯახებით იუწყებიან

ლიდა ნიკოლოზის ასულ აბულაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-VIII სოფელ ქვედა სიმონეთში (ქუთაისის რაიონი).

რუსთავვაჭრობის თანამშრომლები იუწყებიან

პარმენ მიხეილის-ძე სამხარაძის

გარდაცვალებას.


რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88. ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 03989

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.